პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1981 წელი ოთხშაბათი **4** თებერვალი **№ 29** (17971) ▫ ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲡᲣᲚᲘᲡᲙᲕᲔᲗᲔᲑᲐ

ᲣᲙᲕᲔ ᲙᲕᲘᲠᲐᲖᲔ ᲛᲔᲢᲘᲐ, ᲠᲐᲪ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲓᲐᲐᲛᲗᲐᲕᲠᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ XXVI ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲛᲐᲡᲚᲘᲡᲨᲘ, ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲨᲘ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚ ᲨᲔᲛᲐᲯᲐᲛᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲛᲘᲓᲒᲝᲛᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

ᲓᲘᲠᲡᲔᲣᲚᲐᲓ ᲨᲔᲕᲮᲕᲓᲔᲗ ᲡᲙᲙᲞ XXVI ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐᲡ!

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

ᲡᲐᲤᲘᲔᲘᲠᲝ-ᲡᲐᲒᲐᲚᲐᲜᲢᲔᲠᲔᲝ ფაბრიკა „კომკავშირელის“ კოლექტივი მოსახლეობისათვის მეტად საჭირო დიდი ასორტიმენტის ფართო მოხმარების საქონელს უშვებს.

სანარმოს კოლექტივის თითოეული უბანი ახალი შრომითი აღმავლობით ჩაება სკკპ XXVI ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში. საქარგავი უბნის კოლექტივმა, რომელსაც მარიამ მურადაშვილი უდგას თავეში, გადაწყვიტა ყრილობის გახსნის დღისათვის ორი თვის გეგმა შეასრულოს.

შრომითს პაექრობაში ჩაბმული არიან აგრეთვე ინდივიდუალურად მომუშავე მცსოველები. ცხრამეტმა მათგანმა ვალდებულება იკისრა ყრილობამდე დარჩენილ ყოველ სამუშაო დღეს ორ-ორი ნორმა შეასრულოს.

მოწინავე ადამიანების დამსახურებაა ისიც, რომ საფეიერო-საგალანტერეო ფაბრიკის კოლექტივმა იანვრის გეგმას 52 ათასი მანეთით გადააჭარბა და თებერვალი უფრო დიდი შემართებით დაიწყო.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ

ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ მშრომელებმა გადაჭარბებით შეასრულეს მიმდინარე წლის პირველი თვის სახელმწიფო გეგმა. გამოშვებულია 61 მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქცია, რაც ბევრად აღემატება დავალებით გათვალისწინებულს. საყრილობო სოციალისტური შეჯიბრების ავანგარდში არიან ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის, ელექტრომექანიკური, სატრაქტორო, მინის ტარის, ლითოფონის ქარხნების, აბრეშუმის, სამკერვალო გაერთიანებების, ბევრი სხვა საწარმოს კოლექტივები.

ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲐ

ᲛᲐᲜᲒᲐᲜᲣᲛᲘᲡ სამთამადნო კომბინატის ბევრი მუშა უფასოდ საუზმობს. ეს კომბინატის მერძეველობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის მუშაკთა გულმოდგინეობის შედეგია, რომლებმაც მეათე ხუთწლედში მაღარების სასადილოს გაუგზავნეს 2.500 ტონა ხორცი, 3.600 ტონა რძე, 8.660 ტონა ბოსტნეული და ხილი. მიმდინარე ხუთწლედში საბჭოთა მეურნეობის კოლექტივს განზრახული აქვს მნიშვნელოვნად გაადიდოს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება.

ამას წინათ მწყობრში ჩადგა მექანიზებული ფერმა, აქ ჯირუტყვს საკვებს ბაგირგზით აწვდიან. კეთილმოწყობილია მეცხოველეთა საცხოვრებელი ოთახებიც. შენდება კიდევ ერთი ფერმა 1.100 სული პირუტყვისათვის.

მეცხოველეებმა კარგად დაიწყეს მიმდინარე სამეურნეო წელი. იანვარში გეგმის გადამეტებით უკვე წარმოებულია დაახლოებით 300 ცენტნერი რძე და ხორცი.

— აღოო... გისმენთ 261-ე.— მიიღეთ შეკვეთა. — ბრძანეთ, გენაცვალე... — შეკვეთა მიიღო 261-მ, დაელოდეთ, აბონენტს თავის დროზე დაგალაპარაკებ, გმადლობთ.

მხოლოდ და მხოლოდ ასეთი პასუხი 12 წლის მანძილზე... ბევრს, ალბათ, ძალიან ბევრს დაებადებოდა სურვილი დაენახა ამ სამოცსცხვიანი ციფრის მიღმა მდგომი უაღრესად თავაზიანი ქალიშვილი, გაეგო მისი გვარი, სახელი და პირადად ეთქვა მადლობა.

დღეს ჩვენ ამის საშუალება მოგვეცა. სხვათა შორის, წერილის გამოქვეყნება ამ ქალიშვილის შრომითი მოღვაწეობის შესახებ ცოტა მოგვიანებით კი გვქონდა დაგეგმილი, მაგრამ მოხდა ამბავი, რომელმაც დააჩქარა ეს: იგი საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე სკკპ XXVI ყრილობის დელეგატად აირჩიეს.

გაიცანით — ეუჟენა ვახტანგის ასული ზაქარიაშვილი, თბილისის საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგურის პირველი კლასის მეტელეფონე, სოციალისტური შეჯიბრების მოწინავე, ახალგაზრდობის უბადლო დამრიგებელი. დიახ, კომკავშირის ასაკიდანაც არ გამოსულა, ახალბედების მასწავლებელია. ვინ იცის, იმ დღიდან მოყოლებული, როცა მას ასეთი ნდობა გამოუცხადეს, რამდენი სკოლის მერხიდან მოსულ ქალიშვილს შეაყვარა ტელეფონისტის არცთუ ისე იოლი პროფესია, შთაუნერგა მათ საქმისათვის პასუხისმგებლობა, დაარწმუნა არჩეული სპეციალობის საჭიროებაში.

— ტელეფონისტობა რთული და მეტად საპატიო საქმეა, — ამბობს ეუჟენა. —ვერ გამიგია ისეთი ადამიანებისა, რომლებიც მოდიან ჩვენთან სამუშაოდ, ცოტა ხნის შემდეგ კი გვტოვებენ. თუ არა ხარ დარწმუნებული, რომ ტელეფონისტობა შენი მოწოდებაა, ნუ მოჰკიდებ ამას ხელს. ბევრს რატომღაც ჰგონია, რომ ჩვენი პროფესიის ადამიანი ყველას შეუძლია გახდეს, მაგრამ ძალიან ცდება. მე რომ საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგურში არ დამეწყო მუშაობა, შეიძლება დღეედე ვერ მომეძებნა გარკვეული გზა ცხოვრებაში. აქ, სწორედ აქ „აღმოვაჩინე“ ჩემი თავი, დავრწმუნდი, რომ ტელეფონისტობა ჩემი მოწოდებაა.

— ეუჟენას შრომითი მოღვაწეობა, — გვითხრა თბილისის საქალაქთაშორისო სადგურის უფროსის მოადგილემ ელენე ედელაშვილმა, — სავსებით შეესაბამება ჩვენს სისტემაში არსებული მომსახურების სტანდარტების დონეს, იგი გამოირჩევა საოცარი გულითადობით და სიმშვიდით, იშვიათი გულისხმიერებითა და ადამიანობით, თავაზიანობით. არსებობს წესი, რომლის თანახმადაც ხელმძღვანელობა ვალდებულია სულ ცოტა თვეში ორჯერ მაინც შეამოწმოს, თითოეული ტელეფონისტის მუშაობა, მათი დამოკიდებულება აბონენტებთან. ასეთი კონტროლი, არცთუ ისე იშვიათად, ავლენს ხოლმე აბონენტთან გულწრფილი და უხეში მოქცევის შემთხვევებს, რისთვისაც ტელეფონისტი სათანადო პასუხსაც აგებს თავისი კოლექტივის წინაშე.

მთელი ცხრა წლის მანძილზე ეუჟენასათვის უბრალო შემჩნევაც კი არ მიგვიცია. მისი აბონენტებთან ფირზე ჩაწერილი ყველა საუბარი მომავალი ტელეფონისტებისათვის სანიმუშოა, იგი სავსებით გამოდგება მოწინავე გამოცდილების სკოლებში მოსასმენად.

ახლა ეუჟენა აქ მომუშავე იმ ხუთი ტელეფონისტის რიცხვშია, რომლებსაც, აი უკვე მესამე წელია, აღარ ამოწმებენ. სამრეწველო საწარმოებში ასეთ მუშაკებზე ამბობენ, ტექნიკური კონტროლის გარეშე მუშაობსო. დიახ, ჯერჯერობით მხოლოდ ხუთი ჰყავთ სადგურში ეუჟენასთან მუშაკი, მაგრამ ახლა ასეთი პატივისათვის ბევრი ტელეფონისტი იბრძვის. აბა, რა ფასი ექნება მოწინავის გამოცდილებას, თუ მას მიმდევრები არ გამოუჩნდებიან. სკკპ XXVI ყრილობის გახსნამდე, ხელმძღვანელობის აზრით, გაუკონტროლებლად მუშაობის უფლებას, ალბათ, ხუთი-ექვსი ქალიშვილი მაინც მოიპოვებს, ხოლო წლის ბოლომდე მათი რიცხვი რამდენჯერმე გაიზრდება. მეთერთმეტე ხუთწლედში საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგურის კოლექტივმა გარდატეხა უნდა შეიტანოს თავის მუშაობაში, მკვეთრად უნდა გააუმჯობესოს აბონენტთა მომსახურება, იმრომოს და აკეთოს საქმე ისეთი სიყვარულით, როგორითაც ამას ეუჟენა ზაქარიაშვილი აკეთებს.

საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგურის კარგ მუშობას დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა ენიჭება, მასზე ბევრად არის დამოკიდებული სამრეწველო საწარმოთა, სამშენებლო და სატრანსპორტო ორგანიზაციების, კოლმეურნეობების გამართული, ოპერატიული მუშობა. ვ. ი. ლენინი კავშირგამბმულობას ჩვენი სახალხო მეურნეობის ნერვს უწოდებდა. სასიამოვნოა, რომ ეს შესანიშნავად აქვს შეგნებული ეუჟენა ზაქარიაშვილს. მისი გვარი სსრ კავშირის კავშირგამბმულობის სამინისტროს საუკეთესო ტელეფონისტთა წიგნშია შეტანილი.

ტელეფონისტის მუშობას პროცენტებითა და სხვა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებით ვერ განსაზღვრავ. მისი საზომია თავაზიანობა, გულისხმიერება, საქმისათვის უაღრესად დიდი პასუხისმგებლობა, ადამიანისადმი უურადღება. სწორედ ასეთია სკკპ XXVI ყრილობის დელეგატი ეუჟენა ზაქარიაშვილი. ვუსურვოთ მას ახალი წარმატებები შრომაში, ბედნიერება პირად ცხოვრებაში!

შ. ᲐᲛᲐᲨᲣᲙᲔᲚᲘ,
„კომუნისტის“ კორ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: სკკპ XXVI ყრილობის დელეგატი, თბილისის საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგურის ტელეფონისტი ეუჟენა ზაქარიაშვილი (ზემოთ); ე. ზაქარიაშვილი საკომუტატორო საამქროს მუშაკებთან.

მ. ᲓᲐᲗᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲛᲝᲬᲝᲓᲔᲑᲐ

ᲥᲘᲛᲘᲗᲔᲚᲘ კოლმეურნეთა შეძლებული ცხოვრების მთავარი წყარო მეჩიჟიეთაა. მაგრამ ამ ბოლო წლებში აქ მნიშვნელოვნად განვითარდა საზოგადოებრივი ეკონომიკა, რომელიც ადრე ჩამორჩენილი და თავმინებებული იყო.

მეცხოველეთა წარმატებებს ხელი შეუწყო კოოპერირებამ, რომელსაც ქიმითელებმა ერთი ფერმა წინათ მოპკიდეს ხელი. მანამდე სოფელში 168 ოჯახს ძროხა არ ჰყავდა, მეცხოველეობის პროდუქტებს ძირითადად ეკრძო ბაზარზე მამასისხლად ყიდულობდნენ.

კოლმეურნეობის გამგეობამ, პარტიულმა ორგანიზაციამ, სასოფლო საბჭოს აღმასკომმა კარგად აწონ-დაწონეს ეს გარემოება და გადაწყვიტეს უძროხო ოჯახებისათვის პიროტყვი შეეძინათ. მოკლე დროში შეისყიდეს 115 სული ძროხა და მოსახლეობას გადასცეს ნასიდ.

ერთ წელიწადში კოლმეურნეობამ უკვე 100-100 კილოგრამი ყველი ჩააბარეს კოლმეურნეობას. დამზადებული ყველის ნაწილი ქ. მახარაძის საფირმო, მაღაზიაში გაიყიდა, ნაწილი კი კოლმეურნეობის სამაგვრო ბაგა-ბაღს გაუგზავნა. ერთი სიტყვით, სოფელს 200 ტონაზე მეტი რძე და რძის პროდუქტები შემატა კოოპერირებამ.

— ამ კარგ საქმეში კოლმეურნეობა მხარში გვიდგას, — გვითხრა კოლმეურნემ ციალა გეგეშაძემ, — საკვებს გვაძლევს, პირუტყვის სადგომი შეგვიკეთა, სათბაყანე ნაკვეთი გამოგვიყო, ვეტერინარული მომსახურებაც გვაქვს და ყოველივე ამაში კაპიკაც არ ვიხდით. ყველა პირობა შეგვიქმნეს იმისათვის, რომ სახელმწიფოს მივყიოდოთ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობის ყველი და ჩვენც იმდენი რძე და რძის პროდუქტები დაგვრჩეს, რამდენიც ჩვენს მრავალრიცხოვან ოჯახს სჭირდება.

კოოპერირების დიდ სიკეთეზე გველაპარაკნენ აგრეთვე კოლმეურნეები გ. ჩხაიძე, ე. მკერვალი, ვ. კბილიანშვილი და სხვები.

გულისყურით გავეცანი სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებას მოქალაქეთა პირად დამხმარე მეურნეობებში სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ზრდის დამატებითი ღონისძიებების შესახებ, — გვეუბნება ქიმითელთა თავკაცი, სოციალისტური შრომის გმირი სევერიანე მუხაშავრია. — ეს დადგენილება დაგვეხმარება უფრო სწრაფად გამოვიყენოთ მოქალაქეთა პირადი მეურნეობების შესაძლებლობანი. კოოპერირების შემდეგ სოფელში თითზე ჩამოსათვლელია ოჯახი, რომელსაც ძროხა არ ჰყავდეს. ზაფხულამდე კი არც ერთი კომლი არ დაგვრჩება უძროხოდ. ამისათვის კოლმეურნეობას ყველა პირობა აქვს, თუმცა მაინც ვცდილობთ საკვები ბაზის გაფართოებას. წლიულს 20-30 ჰექტარ ახალ სავარგულს ავითვისებთ მოსახლეობისათვის გადასაცემად. ძროხის თითოეულ მეპატრონეს მიეცემა 0,3-0,5 ჰექტარი მიწა, როგორც მარცვლეულის მოსაყვანად, ასევე სათიბად. ამჟამად ბალიასტომის ტბის სანაპიროზე ყამირ მიწებს ვითვისებთ და მოსახლეობას ათობით ჰექტარი მიწა ექნება ერთწლოვანი კულტურების მოსაყვანად.

— კოოპერირების სიკეთე, — ამბობს სოფლის მეურნეობის რაიონული გაერთიანების მთავარი ეკონომისტი ვ. ზედგინიძე, — ისიც არის, რომ პროდუქტების წარმოებაში ჩაერთო დღემდე გამოუყენებელი რეზერვები, რომლებიც მოსახლეობას პირად მეურნეობაში ჰქონდა, მუშაობაში ჩაებნენ ოჯახის დაუსაქმებელი წევრები — პენსიონერები, მოხუცები, ახალგაზრდები. ზოგ მათგანს შრომის სავალდებულო მინიმუმიც კი აქვს გამომუშავებული. ამის წყალობით არის, რომ სოფელში დახვავდა სურსათ-სანოვაგე.

ძიმითელებმა სახორცე მიმართულების მეკამეჩეობასაც მიაყვეს ხელი. ეს-ეს არის ბალიასტომის ტბის სანაპიროზე მეკამეჩეობის ახალი ფერმა მოაწყვეს, სადაც ჯერჯერობით 100 სული კამეჩი ჰყავთ. აქ თითოეული პირუტყვის წონას 500-600 კილოგრამამდე აიყვანენ და შემდეგ სახელმწიფოს მიჰყიდიან.

მდინარე სუფსის მარჯვენა ნაპირზე შარშან ძიმითელებმა მემცენარეობის ფერმაც ააშენეს, სადაც 3 ათასზე მეტი საგულდაგულოდ მოვლილი ბოცვერია. ზოგი მათგანი 4-5 კილოგრამს იწონის.

ბოცვრების ფერმა მოწყობილია თანამედროვე ტექნიკის შესაბამისად. იგი წლითიწლობით გაფართოვდება. მემცენარეობის ფერმის მუშაკებს (ფერმის გამგე — ი. გოგუაძე, მომვლელები — ნ. გეგენავა, ო. ონიანი, ნ. კარაპენკო) გადაწყვეტილი აქვთ მეთერთმეტე ხუთწლედის პირველ წელს სახელმწიფოს 35 ტონა ბოცვრის ხორცი მიჰყიდონ. ამ საქმეში მათ დაუოღლავად ეხმარება ვეტექიმი ვ. კარპენკო, რომელიც სიმფეროპოლიდან მოიწვიეს ძიმითელებმა, როგორც ამ დარგის ჩინებული სპეციალისტი.

მემცენარეებმა სამდურავი გამოთქვეს იმის გამო, რომ ბოცვრების ჩასაბარებლად შორს, ქ. გორის ხორცკომბინატში უნდებათ წასვლა და გზაში ბევრი ბოცვერი ეხოცებათ. ყოველივე ეს იცის საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრომ, მაგრამ ჯერჯერობით არაფერი კეთდება იმისათვის, რომ ბოცვრებს მახარაძის ხორცკომბინატი იბარებდეს.

სოფლის მშრომელებმა, რომლებიც დიდი ინტერესით ეცნობიან საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის მასალებს, კონკრეტული ვალდებულებები იკისრეს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გეგმების გადამეტებით შესრულებისათვის.

ᲑᲐᲠᲗᲚᲘᲐᲜᲘ,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲤᲣᲠᲔᲑᲘ — ᲡᲐᲙᲐᲠᲛᲘᲓᲐᲛᲝᲨᲘ

ᲥᲘᲛᲘᲗᲔᲚᲗᲐ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲒᲣᲚᲘᲡᲧᲣᲠᲘ — ᲡᲐᲡᲣᲠᲡᲐᲗᲝ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲐᲡ!

ᲥᲘᲛᲘᲗᲔᲚᲘ კოლმეურნეთა შეძლებული ცხოვრების მთავარი წყარო მეჩიჟიეთაა. მაგრამ ამ ბოლო წლებში აქ მნიშვნელოვნად განვითარდა საზოგადოებრივი ეკონომიკა, რომელიც ადრე ჩამორჩენილი და თავმინებებული იყო.

მეცხოველეთა წარმატებებს ხელი შეუწყო კოოპერირებამ, რომელსაც ქიმითელებმა ერთი ფერმა წინათ მოპკიდეს ხელი. მანამდე სოფელში 168 ოჯახს ძროხა არ ჰყავდა, მეცხოველეობის პროდუქტებს ძირითადად ეკრძო ბაზარზე მამასისხლად ყიდულობდნენ.

კოლმეურნეობის გამგეობამ, პარტიულმა ორგანიზაციამ, სასოფლო საბჭოს აღმასკომმა კარგად აწონ-დაწონეს ეს გარემოება და გადაწყვეტეს უძროხო ოჯახებისათვის პიროტყვი შეეძინათ. მოკლე დროში შეისყიდეს 115 სული ძროხა და მოსახლეობას გადასცეს ნასიდ.

ერთ წელიწადში კოლმეურნეობამ უკვე 100-100 კილოგრამი ყველი ჩააბარეს კოლმეურნეობას. დამზადებული ყველის ნაწილი ქ. მახარაძის საფირმო, მაღაზიაში გაიყიდა, ნაწილი კი კოლმეურნეობის სამაგვრო ბაგა-ბაღს გაუგზავნა. ერთი სიტყვით, სოფელს 200 ტონაზე მეტი რძე და რძის პროდუქტები შემატა კოოპერირებამ.

— ამ კარგ საქმეში კოლმეურნეობა მხარში გვიდგას, — გვითხრა კოლმეურნემ ციალა გეგეშაძემ, — საკვებს გვაძლევს, პირუტყვის სადგომი შეგვიკეთა, სათბაყანე ნაკვეთი გამოგვიყო, ვეტერინარული მომსახურებაც გვაქვს და ყოველივე ამაში კაპიკაც არ ვიხდით. ყველა პირობა შეგვიქმნეს იმისათვის, რომ სახელმწიფოს მივყიოდოთ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობის ყველი და ჩვენც იმდენი რძე და რძის პროდუქტები დაგვრჩეს, რამდენიც ჩვენს მრავალრიცხოვან ოჯახს სჭირდება.

კოოპერირების დიდ სიკეთეზე გველაპარაკნენ აგრეთვე კოლმეურნეები გ. ჩხაიძე, ე. მკერვალი, ვ. კბილიანშვილი და სხვები.

გულისყურით გავეცანი სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებას მოქალაქეთა პირად დამხმარე მეურნეობებში სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ზრდის დამატებითი ღონისძიებების შესახებ, — გვეუბნება ქიმითელთა თავკაცი, სოციალისტური შრომის გმირი სევერიანე მუხაშავრია. — ეს დადგენილება დაგვეხმარება უფრო სწრაფად გამოვიყენოთ მოქალაქეთა პირადი მეურნეობების შესაძლებლობანი. კოოპერირების შემდეგ სოფელში თითზე ჩამოსათვლელია ოჯახი, რომელსაც ძროხა არ ჰყავდეს. ზაფხულამდე კი არც ერთი კომლი არ დაგვრჩება უძროხოდ. ამისათვის კოლმეურნეობას ყველა პირობა აქვს, თუმცა მაინც ვცდილობთ საკვები ბაზის გაფართოებას. წლიულს 20-30 ჰექტარ ახალ სავარგულს ავითვისებთ მოსახლეობისათვის გადასაცემად. ძროხის თითოეულ მეპატრონეს მიეცემა 0,3-0,5 ჰექტარი მიწა, როგორც მარცვლეულის მოსაყვანად, ასევე სათიბად. ამჟამად ბალიასტომის ტბის სანაპიროზე ყამირ მიწებს ვითვისებთ და მოსახლეობას ათობით ჰექტარი მიწა ექნება ერთწლოვანი კულტურების მოსაყვანად.

— კოოპერირების სიკეთე, — ამბობს სოფლის მეურნეობის რაიონული გაერთიანების მთავარი ეკონომისტი ვ. ზედგინიძე, — ისიც არის, რომ პროდუქტების წარმოებაში ჩაერთო დღემდე გამოუყენებელი რეზერვები, რომლებიც მოსახლეობას პირად მეურნეობაში ჰქონდა, მუშაობაში ჩაებნენ ოჯახის დაუსაქმებელი წევრები — პენსიონერები, მოხუცები, ახალგაზრდები. ზოგ მათგანს შრომის სავალდებულო მინიმუმიც კი აქვს გამომუშავებული. ამის წყალობით არის, რომ სოფელში დახვავდა სურსათ-სანოვაგე.

ძიმითელებმა სახორცე მიმართულების მეკამეჩეობასაც მიაყვეს ხელი. ეს-ეს არის ბალიასტომის ტბის სანაპიროზე მეკამეჩეობის ახალი ფერმა მოაწყვეს, სადაც ჯერჯერობით 100 სული კამეჩი ჰყავთ. აქ თითოეული პირუტყვის წონას 500-600 კილოგრამამდე აიყვანენ და შემდეგ სახელმწიფოს მიჰყიდიან.

მდინარე სუფსის მარჯვენა ნაპირზე შარშან ძიმითელებმა მემცენარეობის ფერმაც ააშენეს, სადაც 3 ათასზე მეტი საგულდაგულოდ მოვლილი ბოცვერია. ზოგი მათგანი 4-5 კილოგრამს იწონის.

ბოცვრების ფერმა მოწყობილია თანამედროვე ტექნიკის შესაბამისად. იგი წლითიწლობით გაფართოვდება. მემცენარეობის ფერმის მუშაკებს (ფერმის გამგე — ი. გოგუაძე, მომვლელები — ნ. გეგენავა, ო. ონიანი, ნ. კარაპენკო) გადაწყვეტილი აქვთ მეთერთმეტე ხუთწლედის პირველ წელს სახელმწიფოს 35 ტონა ბოცვრის ხორცი მიჰყიდონ. ამ საქმეში მათ დაუოღლავად ეხმარება ვეტექიმი ვ. კარპენკო, რომელიც სიმფეროპოლიდან მოიწვიეს ძიმითელებმა, როგორც ამ დარგის ჩინებული სპეციალისტი.

მემცენარეებმა სამდურავი გამოთქვეს იმის გამო, რომ ბოცვრების ჩასაბარებლად შორს, ქ. გორის ხორცკომბინატში უნდებათ წასვლა და გზაში ბევრი ბოცვერი ეხოცებათ. ყოველივე ეს იცის საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრომ, მაგრამ ჯერჯერობით არაფერი კეთდება იმისათვის, რომ ბოცვრებს მახარაძის ხორცკომბინატი იბარებდეს.

სოფლის მშრომელებმა, რომლებიც დიდი ინტერესით ეცნობიან საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის მასალებს, კონკრეტული ვალდებულებები იკისრეს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გეგმების გადამეტებით შესრულებისათვის.

Ბ. ᲩᲮᲐᲘᲫᲔ,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ᲧᲣᲠᲐᲦᲚᲔᲑᲐ!

ᲧᲘᲜᲕᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲠᲝᲛ ᲕᲘᲮᲡᲜᲐᲗ ᲪᲘᲤᲠᲣᲡᲔᲑᲘ!

ᲖᲐᲛᲗᲠᲘᲡ ბოლო თვე ახლა ზამთრის პირველ თვედ იქცა. რაოდენ პარადოქსულიც უნდა იყოს ეს, ზამთარი უფრო ადრე დადგა არა აღმოსავლეთ საქართველოში, როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, არამედ დასავლეთში — სუბტროპიკების ზონაში მრავალ ადგილას მოთოვა, აცივდა. ამან შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ლიმონის, ფორთოხლის, მანდარინის ნარგავებზე, სხვა სუბტროპიკულ კულტურებზე.

თუ როგორ შეხვდნენ სოფლის მშრომელები უამინდობას, გვიამბობენ საქინფორმის კორესპონდენტები.

✦✦

ᲡᲝᲩᲮᲘᲛᲘ. აფხაზეთის მეციტრუსეებმა, რომლებმაც ისარგებლეს კარგი ამინდებით, საუკეთესო ვადებში დაამთავრეს ნარგავების მოვლის აგროტექნიკური ღონისძიებანი, მომამზადეს ციტრუსების პლანტაციები ზამთრისათვის. ხეებს მიწა შემოაყარეს ცხრაას ჰექტარ ფართობზე, ახალგაზრდა ლიმონის ხეები შეფუთეს უქსოვი ქსოვილით „ციტრუსით“.

— ყურადღებით ვადევნებთ თვალს ამინდის პროგნოზებს, — თქვა აფხაზეთის სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრმა ვ. ანდრიბავამ. — საინფორმაციო სამსახურმა წინასწარვე უნდა აცნობოს მეურნეობებს მოახლოებული საფრთხე.

ყველა მეურნეობამ მოიმარაგა ექსპლოატაციისათვის უვარგისი ავტომობილის საბურავები, საკვამლე კოჭები, ფიჩხი. ბრიგადებზე მიმაგრებულია მისაბმელიანი ტრაქტორები, სატვირთო ავტომანქანები, რომლებსაც პლანტაციებში მიაქვთ კვამლის საფარის შექმნისათვის საჭირო ავტოსაბურავები, ნახერხი, ფიჩხი.

ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘ. ორასზე მეტი ჰექტარი უკავია აქ ციტრუსის პლანტაციებს. ისინი საამოდად არიან დაცული ყინვებისაგან, გვითხრეს პარტიის რაიკომში. ასე რომ, აცივება სოფლის მშრომელებისათვის მოულოდნელი არ ყოფილა. აქ შეიქმნა ბრიგადები, რომლებიც მორიგეობენ პლანტაციებში. მათ განკარგულებაშია ყოველივე, ის, რაც საჭიროა ჰაერის გასათბობად.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ახალგაზრდა ნარგავებს, ანაკლიის ახალ მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობაში, სოფლების ციაშის, ოღიშის, ჭაქვინჯის და სხვა კოლმეურნეობებში ახალი ნარგავები დაფარულია პოლიეთილენის აფსკით, ხოლო თოვლის სიმძიმისაგან ტოტების შესაკავებლად მზად არის სპეციალური ბოძკინტები.

ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔ; პარტიის რაიკომის პირველმა მდივანმა დ. დვალიშვილმა აღნიშნა, რომ რაიონში სიცივის საწინააღმდეგოდ იქმნება საფარი. ამ კამპანიას ხელმძღვანელობს რაიონული შტაბი. ასეთივე შტაბები ჩამოყალიბდა ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში, სადაც აქვთ ციტრუსის ნარგავები. სანიმუშოდ მუშაობენ სოფლების ნატანების, შრომის, ჯუმათის, კონჭკათის, შემოქმედის კოლმეურნეობებისა და სხვა მეურნეობების მშრომელები. აქ ყველა აგრონაკვეთზე შემოაქვთ ნახერხი, ძველი ავტომობილის საბურავები, საკვამლე კოჭები. თითოეული აგრონაკვეთისათვის გამოყოფილია მორიგეები. თუკი ისინი შენიშნავენ მოახლოებულ საფრთხეს — ყინვას ან თოვას — მათი სიგნალით მყისვე ამოქმედდება ციტრუსების დაცვის სამსახურის საშუალებათა მთელი არსენალი.

ᲪᲮᲔᲠᲕᲐ. აქ თოვს, ზოგან წვიმს. თუ ყინვები დაიჭირა, მეურნეობებში შექმნილი ციტრუსების დაცვის ბრიგადები მუშობას შეუდგებიან. ბრიგადების განკარგულებაშია სპეციალური საშუალებანი, რათა გაათბონ ლიმონის, ფორთოხლის, მანდარინის ხეების გარემომცველი ჰაერი.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲑᲠᲫᲐᲜᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲔᲪᲔᲜᲘᲠᲔᲑᲘᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲬᲕᲔᲠ-ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘᲡ Ⓐ. Ⓑ. ᲭᲘᲠᲘᲗᲚᲘᲡ „ᲡᲐᲡᲐᲞᲐᲢᲝ ᲜᲘᲨᲜᲘᲡ“ ᲝᲠᲓᲔᲜᲘᲗ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲯᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ

ᲤᲘᲚᲝᲚᲝ�გᲘᲘᲡ მეცნიერების დარგში, მეცნიერთა კადრების მომზადებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამიცი წლის თავთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი კონსტანტინე გრიგოლის ძე ჭირეთელი დაჯილდოდეს „საპატიო ნიშნის“ ორდენით.

**ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ზ. ა. პატარიძის მოხსენების გამო „პარტიის XXVI ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტის „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებათა“ შესახებ“

ამხ. ო. ე. ჩერქეზიას სიტყვა

(საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე)

ამასთან, უდავოდ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მთავრობის ზრუნვამ შემოქმედებითი ინტელიგენციის შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის, მისი იდეური და პროფესიული ზრდისათვის, ნიჭიერი, შემოქმედებითად აქტიური ახალგაზრდობით შევსებისათვის.

განსაკუთრებული ადგილი ეჭირა და უჭირავს ზრუნვას მოზარდი თაობისათვის, ნორჩი მოქალაქეებისათვის, რომლებიც დღეს სკოლის მერხებს უსხედან, იუფლებიან მეცნიერებათა საფუძვლებს და შრომითს ჩვევებს. ხვალ ისინი უფროსი თაობისაგან მიიღებენ კომუნიზმის მშენებლობის ესტაფეტას, რათა წარმატებით ატარონ იგი. ჩვენი მოვალეობაა მოვამზადოთ ისინი ამისათვის, აღვზარდოთ მუშების, სახალხო მეურნეობის სპეციალისტების, სამეცნიერო და შემოქმედებითი ინტელიგენციის ღირსეული ცვლა.

როცა სახალხო განათლებაზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება არ დავინახოთ უკანასკნელ წლებში აქ მომხდარი დადებითი ძვრები. შესამჩნევად გაიზარდა იმ მოსწავლეთა რიცხვი, რომლებიც დროულად ამთავრებენ 8 კლასს. სკოლებში მკვეთრად იკლო მოსწავლეთა განთესვამ. ამავე პერიოდში არსებითად განმტკიცდა სახალხო განათლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. სასკოლო მშენებლობის გეგმები სისტემატურად გადაჭარბებით სრულდება.

წარმატებები თვალსაჩინოა. მაგრამ ჯერჯერობით უმთავრესად საქმის რაოდენობრივ მხარეზე ვლაპარაკობდით. ამ დროს კი ისეთი რთული პროცესის ეფექტიანობა, როგორიც არის სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი, უპირველეს ყოვლისა მისი ხარისხი იზომება. ამას კიდევ ერთხელ შეგვახსენებს საანგარიშო მოხსენებაში გამოთქმული კრიტიკა. მართლაც, როგორც აღნიშნა ამხ. ე. ა. შევარდნაძემ, არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ დღეინდელ ჩვენი ყურადღების ცენტრში იყოს სკოლის პრობლემები, მოზარდი თაობის სწავლებისა და აღზრდის პრობლემები.

შესამჩნევი სხვაობაა სკოლის შეფასებებსა და საშუალო სკოლების კურსდამთავრებულთა ცოდნის ნამდვილ დონეს შორის. კურსდამთავრებულნი საკმარისად არ არიან მომზადებული როგორც შრომითი ცხოვრების, ისე შემდგომი სწავლისათვის. აქედან გამომდინარეობს ისეთი ანტისაზოგადოებრივი მოვლენა, როგორიც არის კერძო რეპეტიტორობა, რაც გამოწვეულია, ერთი მხრივ, ზოგიერთი მასწავლებლის სურვილით ჰქონდეს გარეშე შემოსავალი, ხოლო მეორე მხრივ საჭიროებით, შეუსაბამონ აბიტურიენტის ცოდნა იმ მოთხოვნებს, რომლებსაც მას უმაღლესი სასწავლებელი უყენებს. მოსწავლე იძულებულია ამ გზით აინაზღაუროს ის, რაც სკოლამ დააკლო. ეს მოვლენა მეტყველებს, რომ სწავლების შინაარსი, მისი ხარისხი სერიოზულ გაუმჯობესებას მოითხოვს. ეს კი, უპირველეს ყოვლისა, დამოკიდებულია მასწავლებელთა შემადგენლობაზე — მათ დონეზე, კვალიფიკაციაზე, საქმისადმი დამოკიდებულებაზე, თუ განებავთ — პატიოსნებაზე.

პარადოქსულია, მაგრამ რესპუბლიკის სკოლებში არ გვყოფნის უმაღლესი განათლების მქონე პედაგოგები, მაგალითად, 6-10 კლასებში ისინი 88,5 პროცენტს შეადგენენ, მაშინ, როცა უკრაინაში 94 პროცენტია. და მდგომარეობა არ უმჯობესდება. სოფლის სკოლებში არ ჰყოფნით რუსული ენისა და ლიტერატურის, უცხო ენის, მათემატიკის, ფიზიკის მასწავლებლები.

ზემოთქმულიდან გამომდინარეობს დასკვნა — სერიოზულად უნდა მოვკიდოთ ხელი პედაგოგების პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებას, პედაგოგიური კადრების მომზადების რაციონალური დაგეგმვას. ამ თვალსაზრისით უკვე განხორციელებულია მთელი რიგი ღონისძიებანი რესპუბლიკის პედაგოგიური უმაღლესი სასწავლებლის პროფილის შესაცვლელად. მაგრამ ახალგაზრდა სპეციალისტების განაწილებისა და მათი მუშაობისათვის შესაბამისი პირობების შექმნის საკითხები ჯერ კიდევ გადაწყვეტას მოელის.

ავიღოთ, თუნდაც, სკოლაში შრომითი აღზრდის მდგომარეობა. არც აქ არის კარგად საქმე. სკოლაში ჩატარებული შრომითი სწავლების პროფილით საქართველოში საწარმოში სამუშაოდ მიდის კურსდამთავრებულების 1,4 პროცენტი, ქვეყანაში კი — 17 პროცენტი. ამ ციფრების განსხვავება კომენტარს არ საჭიროებს. ყოველმხრივ უნდა გავაფართოოთ სასწავლო-საწარმოო კომბინატების ქსელი, უზრუნველვყოთ სასკოლო სასწავლო სახელოსნოები საჭირო მოწყობილობით.

ჩვენი რესპუბლიკის, ისევე როგორც მთელი ჩვენი ქვეყნის ცხოვრების თანამედროვე პერიოდი აღინიშნება სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესით, რომელიც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ეკონომიკის განვითარებას, უდიდეს გავლენას ახდენს საზოგადოების ცხოვრების ყველა მხარეზე. შემთხვევითი როდია, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტში — „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი“ განყოფილება „მეცნიერების განვითარება და ტექნიკური პროგრესის დაჩქარება“ წინ უძღვის ისეთ განყოფილებებს, როგორიცაა „მრეწველობის განვითარება“, „აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარება“, „კაპიტალური მშენებლობა“ და სხვ.

შემთხვევითი როდია, რომ სხვა ჯგუფებთან ერთად ჩვენს ყრილობაზე შეიქმნა სპეციალური სამუშაო ჯგუფი სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის პრობლემებზე.

ჩვენი რესპუბლიკის სამეცნიერო პოტენციალს ცხადყოფს სამეცნიერო დაწესებულებანი, რომლებშიც მუშაობს ათიათასობით მეცნიერი მუშაკი, მათ შორის დაახლოებით 1400 მეცნიერებათა დოქტორი და 7000-ზე მეტი მეცნიერებათა კანდიდატია. ამ პოტენციალის მართვის მეთოდებისა და ფორმების სრულყოფაზე ბევრად არის დამოკიდებული ტექნიკური პროგრესის ტემპი, საქართველოს სახალხო მეურნეობის დაჩქარებული განვითარება. ამიტომ არის, რომ მეათე ხუთწლედში მინისტრთა საბჭოს, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის აპარატში მოხდა ზოგიერთი სტრუქტურული ცვლილება, ზუსტად გაიმიჯნა სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის და მეცნიერებისა და ტექნიკის დაგეგმვისა და მართვის დარგში. მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა 1980 წლის გეგმა პირველად იყო შემუშავებული ტერიტორიული პრინციპით და მოიცავს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარე ყველა საწარმოსა და გაერთიანებას, მათი საუწყებო დაქვემდებარების მიუხედავად. პირველად დაუწესდა კონტროლი საქართველოში მდებარე საწარმოებისა და გაერთიანებებისათვის საკავშირო სამინისტროებისა და უწყებების მიერ დამტკიცებული დარგობრივი საგეგმო დავალებების შესრულებას.

პირველად რესპუბლიკაში დიდი სახალხო-საშიურნეო პრობლემების გადასაჭრელად დავიწყეთ მიზნობრივი კომპლექსური სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამების განხორციელება.

რა ტენდენციები ახასიათებდა სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესს ჩვენს რესპუბლიკაში მეათე ხუთწლედში? ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვისათვის განხორციელებულ ღონისძიებათა რაოდენობამ დაახლოებით 1530 შეადგინა, მეცხრე ხუთწლედში კი 1390 იყო. ეკონომიკურმა ეფექტმა დაახლოებით 222 მილიონ მანეთს მიაღწია, მეცხრე ხუთწლედში კი 126,6 მილიონ მანეთს შეადგენდა, ესე იგი 177 პროცენტით გაიზარდა. წარმოების ტექნიკური დონის ამაღლების შედეგად შრომის ნაყოფიერების ზრდამ 11,5 პროცენტი შეადგინა მეცხრე ხუთწლედის 8,5 პროცენტის ნაცვლად.

ამასთან საფუძველი არა გვაქვს ვამტკიცოთ, თითქოს სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების შესაძლებლობებს მაქსიმალურად, მთლიანად ვიყენებდეთ. სამწუხაროდ, როგორც სამართლიანად იყო აღნიშნული საანგარიშო მოხსენებაში, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის თიმქმის ყველა პარამეტრის მიხედვით რესპუბლიკა ჩამორჩება საშუალო საკავშირო მაჩვენებლებს.

ჩვენში ჯერ კიდევ სათანადო ყურადღებას არ უთმობენ მუშაობის ახალი ორგანიზაციული ფორმების ძიებასა და დანერგვას, რაც შესაძლებლობას მოგვცემდა აგვემაღლებინა გამოკვლევების ეფექტიანობა, არსებითად განგვმტკიცებინა მეცნიერებისა და წარმოების კავშირი.

აშკარად არასაკმარისად გამოიყენება ჩვენში მეცნიერებისა და წარმოების კავშირის განმტკიცების სხვა რესპუბლიკებში უკვე აპრობირებული ფორმები, როგორიც არის გრძელვადიანი შემოქმედებითი ხელშეკრულებები სამეცნიერო ორგანიზაციებსა და სამრეწველო საწარმოებს შორის კომპლექსური სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამების განხორციელებაზე, ერთიანი ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების შედგენა. საჭიროა, რომ საკავშირო საგეგმო კომიტეტმა მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება მისი მშენებლობის დაწყების ვადის განსაზღვრის თაობაზე.

თბილისის სარკინიგზო კვანძის განტვირთვის მიზნით უნდა გადაწყდეს შემოსავლელი რკინიგზის ხაზის მშენებლობის საკითხი. ჩვენ შევუდექით კიდეც მის მშენებლობას, მაგრამ თბილისის საქალაქო საბჭომ შეცვალა თავისი გადაწყვეტილება და მოითხოვა სხვა ტრასის შერჩევა, რის გამოც შეწყდა მშენებლობა. ცხოვრება გვიკარნახებს ამ ხაზის მშენებლობის აუცილებლობას, ამიტომ ვთხოვთ თბილისის საქალაქო საბჭოს აქტიური მონაწილეობა მიიღოს უფრო რაციონალური და მისაღები ტრასის შერჩევაში.

დიდი ყურადღება ეთმობა მგზავრთა მომსახურების კულტურის დონის ამაღლებას. მაგრამ სასურველ შედეგებს ჯერ მაინც ვერ მივაღწიეთ. ამ საქმეში ბევრი არსებითი ნაკლია, რასაც იდასტურებს რკინიგზელთა მიმართ გამოთქმული საყვედურები. ეს ძველი, მორალურად გაცვეთილი ვაგონების ექსპლოატაციის ბრალიც არის.

ყველაფერი ეს ჩვენ ძალიან გვაწუხებს და გვავალებს მივიღოთ გადამჭრელი ზომები უახლოეს ხანში მგზავრთა მომსახურებაში სანიმუშო წესრიგის დასამყარებლად. გვწამს, რომ ამ ამოცანას თავს გავართმევთ. ამავე დროს უნდა მივაღწიოთ იმას, რომ სამასამდე ვაგონი მაინც მივიღოთ.

რკინიგზის წარმობა სულ უფრო მწვავედ განიცდის უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტების ნაკლებობას, რაც კიდევ მეტად იჩენს თავს, როცა ამომქედდება მარაბდა-ახალქალაქის, აღსტაფა-იჯევან-რაზდანის ახალი სარკინიგზო ხაზები და დაიწყება ტრანსკავკასიის რკინიგზის მშენებლობა. ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია დაჩქარდეს თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის აღდგენის საკითხის გადაწყვეტა.

მეორე გადაუდებელი პრობლემაა დაუცლელი ვაგონები. რესპუბლიკის საწარმოების მისასვლელ ლიანდაგებზე დაწესებული ნორმის ზევით ცდება მნიშვნელოვანი რაოდენობის ვაგონები. მაგალითად, 1980 წელს 599 მისასვლელი ლიანდაგიდან 515-ზე არ შესრულდა დაწესებული ნორმა. სულ მოცდა 141037 ვაგონი 1296674 ვაგონსაათით.

ზოგიერთი სამინისტრო და უწყება ჯეროვან ყურადღებას არ უთმობს სატრანსპორტო საამქროების განვითარებას, რომელთა სალაშადაგო მეურნეობის მოვლისას უხეშად არღვევენ ტექნიკურ ნორმებს. ჩვენ ვთხოვთ შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს ამ საკითხების გადაწყვეტას მიაქციონ ყველაზე სერიოზული ყურადღება.

ჯერ კიდევ არ არის ლიკვიდირებული არარაციონალური ტვირთნაკადები, ხოლო მოკლე მანძილზე ტვირთზიდვის გადართვა ავტომანქანებზე ნელა მიმდინარეობს. ეფექტრობა, ამ საქმეს უშუალოდ უნდა მოჰკიდონ ხელი საგეგმო ორგანოებმა.

ლენინგრადის სატრანსპორტო კვანძის გამოცდილების დანერგვა, განამტკიცა რესპუბლიკის ძირითადი სატრანსპორტო ორგანიზაციების, განსაკუთრებით კი რკინიგზელებისა და მეზღვაურების შრომითი თანამეგობრობა; ხელი შეუწყო მათს შეთანხმებულ მუშაობასა და უწყებრივი დავის მოპობას. ასეთი მუშაობის წყალობით უკანასკნელ პერიოდში შესულებელი გახდა ნავსადგურებიდან ტვირთის შეუფერხებელი გამოტანა.

ახლახან დამთავრებულ საანგარიშო-საარჩევნო პარტიულ კონფერენციებზე კომუნისტებმა რკინიგზის მიმართ გამოთქვეს კრიტიკული შენიშვნები. ბევრი წინადადება. მათი შესრულის მიზნით გზაზე შეიქმნა სპეციალური შტაბი. თითოეულ საკითხზე ვიღებთ შესაბამის გადაწყვეტილებას.

ნება მომეცით, აღვუთქვა საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას, რომ ამიერკავკასიის რკინიგზის მრავალეროვანი კოლექტივი შემდგომშიც არ დაზოგავს ძალებსა და ენერგიას, რათა განახორციელოს მშობლიური კომუნისტური პარტიის მიზანდასახულობანი, ღირსეულად შეხვდება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობას. (ტაში).

ამხ. გ. ზ. მირიანაშვილის სიტყვა

(საქართველოს სსრ მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე)

ამხანაგებო! საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში, რომელიც ყრილობაზე გაკეთდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ედუარდ შევარდნაძემ, დიდი ყურადღება დაეთმო წარმატებებსა და ნაკლოვანებებს კაპიტალურ მშენებლობაში, მეთერთმეტე ხუთწლედში მშენებელთა წინაშე დასახულ ამოცანებს.

ჩვენ მადლობას ვუხდით ცენტრალურ კომიტეტს ჩვენ მუშაობისადმი ასეთი ყურადღებისათვის. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი პირველად როდი იხილავს ასე დეტალურად და კომპეტენტურად მშენებლობის საკითხებს. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIII პლენუმზე, თბილისის XXXVIII საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე რესპუბლიკის არქიტექტორთა და მშენებელთა წინაშე დაისახა მასობრივი მშენებლობის დონის რაოდენობრივი და, რაც მთავარია, ხარისხობრივი გაუმჯობესების მაღალი მიზნები. ეს სოციალური შეკვეთაა და მას უნდა დავუქვემდებაროთ მთელი ჩვენი საქმიანობა მიმდინარე ხუთწლედში.

მეათე ხუთწლედის წლებში საბჭოთა ხალხმა და მათ შორის საქართველოს მშრომელებმა დიდი მუშაობა გასწიეს სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

ყველა ჩვენგანს ახსოვს საქართველოს კომპარტიის გასულ ყრილობაზე ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის გამოსვლა, რომელმაც მოგვცა რესპუბლიკაში საქმის ვითარებისა და იმ ძერების ღრმა და, მეკიტყოდი, თამამი ანალიზი, რომლებიც მოხდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის ოქტომბრის პლენუმის შემდეგ, როცა რესპუბლიკის კომუნისტები პრაქტიკულად შეუდგნენ თბილისის პარტიის საქალაქო კომიტეტის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილების შესრულებას და როცა საფუძველი ჩაეყარა რესპუბლიკაში მორალურ-პოლიტიკური კლიმატის გაჯანსაღებას.

დღეს ჩვენ უყოყმანოდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ ანალიზის შესაბამისად ცენტრალურმა კომიტეტმა სწორად განსაზღვრა და ჯერ კიდევ დარჩენილი სერიოზულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის სათანადო ღონისძიებანი, განსაზღვრა დღეანდელი მიჯნების მისაღწევად სწორი გზები, საშუალებანი და მეთოდები.

უდავოა, რომ თითოეულმა ჩვენგანმა, ვისაც პარტიამ და ხალხმა გვანდეს პარტიული და სახელმწიფო მშენებლობის რომელიმე უბნის ხელმძღვანელობა, უნდა გააკეთოს და გააკეთებს ყველაფერს, რათა შეასრულოს ეს მცნება. (ტაში).

იმისათვის, რომ რკინიგზამ არ შეაფერხოს სახალხო მეურნეობის განვითარება, ჩვენ შევადგინეთ გზის ტექნიკური ბაზის განმტკიცების ვრცელი პროგრამა, რომლის შესაბამისად უკვე გაიშალა მასშტაბური სამშენებლო სამუშაოები. ხუთწლედის უკანასკნელ სამ წელიწადში აშენდა 100 კილომეტრი სიგრძის მეორე ლიანდაგები, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 50 კილომეტრისა. აქედან 40 კილომეტრი გზის სახსრებითა და დაზოგილი მასალებით არის გაყვანილი. მეორე ლიანდაგების მშენებლობა მეთერთმეტე ხუთწლედშიც გაგრძელდება. პარალელურად სრულდება სადგურების, სალოკომოტივო, სავაგონო, სატვირთო და სხვა მეურნეობების განვითარების სამუშაოები. დავიწყეთ ახალი, თანამედროვე სტილის ვაგზლის მშენებლობა თბილისში. წლეულს შეუშავდება ბათუმის სარკინიგზო კვანძის განვითარების ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება, შემდგომში კი შედგება სპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, სამტრედიის სადგურის რეკონსტრუქციას, რომელიც მიმდინარე წელს დაიწყება, 30 მილიონ მანეთზე მეტი მოხმარდება.

საარსებო მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტაში ფასდაუდებელ დახმარებას, მუდმივ ყურადღებასა და მხარდაჭერას გვიწევს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი. სწორედ ასეთი განსაკუთრებული მზრუნველობის წყალობით, როგორისაც ამჟამად იჩენენ ჩვენი მაგისტრალის მიმართ, დაჩქარებული ტემპით ხორციელდება მისი ტექნიკური განახლება. სწრაფად შენდება მარაბდა-ახალქალაქის ახალი სარკინიგზო ხაზი, მთავრდება ტრანსკავკასიის რკინიგზის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების შედგენა. საჭიროა, რომ საკავშირო საგეგმო კომიტეტმა მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება მისი მშენებლობის დაწყების ვადის განსაზღვრის თაობაზე.

თბილისის სარკინიგზო კვანძის განტვირთვის მიზნით უნდა გადაწყდეს შემოსავლელი რკინიგზის ხაზის მშენებლობის საკითხი. ჩვენ შევუდექით კიდეც მის მშენებლობას, მაგრამ თბილისის საქალაქო საბჭომ შეცვალა თავისი გადაწყვეტილება და მოითხოვა სხვა ტრასის შერჩევა, რის გამოც შეწყდა მშენებლობა. ცხოვრება გვიკარნახებს ამ ხაზის მშენებლობის აუცილებლობას, ამიტომ ვთხოვთ თბილისის საქალაქო საბჭოს აქტიური მონაწილეობა მიიღოს უფრო რაციონალური და მისაღები ტრასის შერჩევაში.

დიდი ყურადღება ეთმობა მგზავრთა მომსახურების კულტურის დონის ამაღლებას. მაგრამ სასურველ შედეგებს ჯერ მაინც ვერ მივაღწიეთ. ამ საქმეში ბევრი არსებითი ნაკლია, რასაც იდასტურებს რკინიგზელთა მიმართ გამოთქმული საყვედურები. ეს ძველი, მორალურად გაცვეთილი ვაგონების ექსპლოატაციის ბრალიც არის.

ყველაფერი ეს ჩვენ ძალიან გვაწუხებს და გვავალებს მივიღოთ გადამჭრელი ზომები უახლოეს ხანში მგზავრთა მომსახურებაში სანიმუშო წესრიგის დასამყარებლად. გვწამს, რომ ამ ამოცანას თავს გავართმევთ. ამავე დროს უნდა მივაღწიოთ იმას, რომ სამასამდე ვაგონი მაინც მივიღოთ.

რკინიგზის წარმობა სულ უფრო მწვავედ განიცდის უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტების ნაკლებობას, რაც კიდევ მეტად იჩენს თავს, როცა ამომქედდება მარაბდა-ახალქალაქის, აღსტაფა-იჯევან-რაზდანის ახალი სარკინიგზო ხაზები და დაიწყება ტრანსკავკასიის რკინიგზის მშენებლობა. ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია დაჩქარდეს თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის აღდგენის საკითხის გადაწყვეტა.

მეორე გადაუდებელი პრობლემაა დაუცლელი ვაგონები. რესპუბლიკის საწარმოების მისასვლელ ლიანდაგებზე დაწესებული ნორმის ზევით ცდება მნიშვნელოვანი რაოდენობის ვაგონები. მაგალითად, 1980 წელს 599 მისასვლელი ლიანდაგიდან 515-ზე არ შესრულდა დაწესებული ნორმა. სულ მოცდა 141037 ვაგონი 1296674 ვაგონსაათით.

ზოგიერთი სამინისტრო და უწყება ჯეროვან ყურადღებას არ უთმობს სატრანსპორტო საამქროების განვითარებას, რომელთა სალაშადაგო მეურნეობის მოვლისას უხეშად არღვევენ ტექნიკურ ნორმებს. ჩვენ ვთხოვთ შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს ამ საკითხების გადაწყვეტას მიაქციონ ყველაზე სერიოზული ყურადღება.

ჯერ კიდევ არ არის ლიკვიდირებული არარაციონალური ტვირთნაკადები, ხოლო მოკლე მანძილზე ტვირთზიდვის გადართვა ავტომანქანებზე ნელა მიმდინარეობს. ეფექტრობა, ამ საქმეს უშუალოდ უნდა მოჰკიდონ ხელი საგეგმო ორგანოებმა.

ლენინგრადის სატრანსპორტო კვანძის გამოცდილების დანერგვა, განამტკიცა რესპუბლიკის ძირითადი სატრანსპორტო ორგანიზაციების, განსაკუთრებით კი რკინიგზელებისა და მეზღვაურების შრომითი თანამეგობრობა; ხელი შეუწყო მათს შეთანხმებულ მუშაობასა და უწყებრივი დავის მოპობას. ასეთი მუშაობის წყალობით უკანასკნელ პერიოდში შესულებელი გახდა ნავსადგურებიდან ტვირთის შეუფერხებელი გამოტანა.

ახლახან დამთავრებულ საანგარიშო-საარჩევნო პარტიულ კონფერენციებზე კომუნისტებმა რკინიგზის მიმართ გამოთქვეს კრიტიკული შენიშვნები. ბევრი წინადადება. მათი შესრულის მიზნით გზაზე შეიქმნა სპეციალური შტაბი. თითოეულ საკითხზე ვიღებთ შესაბამის გადაწყვეტილებას.

ნება მომეცით, აღვუთქვა საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას, რომ ამიერკავკასიის რკინიგზის მრავალეროვანი კოლექტივი შემდგომშიც არ დაზოგავს ძალებსა და ენერგიას, რათა განახორციელოს მშობლიური კომუნისტური პარტიის მიზანდასახულობანი, ღირსეულად შეხვდება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობას. (ტაში).

ამხ. რ. ნ. ჩიხლაძის სიტყვა

(გორის რაიონის სოფელ ტყვიავის ლ. კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე)

ამხანაგებო! შარშან ზაფხულში, როცა გამოქვეყნდა ცნობა სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის მოწვევის შესახებ, ტყვიაველმა კოლმეურნეებმა გადაწყვიტეთ ღირსეული მაჩვენებლებით შეეხვედროდით ჩვენი პარტიის, ხალხისა და ქვეყნის ცხოვრების ამ უმნიშვნელოვანეს მოვლენას. ტყვიაველებმა გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ საშუალებით მოწოდებით მიმართეთ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკებს გაგვეჩიღებინა სოციალისტური შეჯიბრება, რათა თითოეული მეურნეობა, ბრიგადა, რგოლი, სოფლის მეურნეობის თითოეული მშრომელი ღირსეულად შეხვედროდა რესპუბლიკის კომუნისტთა ყრილობას, ხუთწლიანი გეგმის გადამეტებით სახელმწიფოსათვის მიეყიდა რაც შეიძლება მეტი პროდუქტი.

მსურს რესპუბლიკის კომუნისტთა ფორუმს გადავცე ტყვიაველ კომუნისტთა პატაკი: სოციალისტური შეჯიბრების ნაკისრი ყველა ვალდებულება განაღდებულია, მეათე ხუთწლედის გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს მივყიდეთ 10 ათასი ტონა ხილი, 2 ათასი ტონა მარცვლეული, 5 ათასი ტონა ხახვი, 500 ტონა ყურძენი, 1200 ტონა რძე, 250 ტონა ხორცი, 1,7 ტონა აბრეშუმის პარკი. ტყვიაველებს ისიც გვეამაყება, რომ ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის ჩვენი თანამონაბრი გაჩაღებულ შეჯიბრებაში წარმატებას მიაღწია რესპუბლიკის ბევრმა რაიონმა, მეურნეობამ, მუშამ და კოლმეურნემ.

რით მივაღწიეთ სოფლის მეურნეობის დარგების ესოდენ მძლავრ აღმავლობას? ეს გახლავთ შრომის ორგანიზაციისა და დისციპლინის მკვეთრი განმტკიცება, ნეგატიურ მოვლენებთან შეუპოვარი ბრძოლა, საშუალო რგოლის მუშაკთა და სპეციალისტთა როლის მნიშვნელოვანი ამაღლება, მატერიალური და მორალური სტიმულირების ეკონომიკური ბერკეტების სწორი გამოყენება, მშრომელთათვის მუშაობისა და დასვენების სათანადო პირობების შექმნა და სხვა.

სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში მიღწეული ყველა წარმატება პირდაპირი შედეგია საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შეუპოვარი, მიზანსწრაფული პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობისა და იმ დიდი მშობლიური ზრუნვისა, რომელსაც ჩვენი რესპუბლიკის, ჩვენი ხალხის, მისი პარტიული ორგანიზაციის მიმართ იჩენს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი. მეათე ხუთწლედისათვის ნიშანდობლივია არა მარტო პროდუქციის წარმოების ზრდის სწრაფი ტემპი, არამედ ადამიანებსა და მოვლენებზე პარტიული გავლენის განუხრელი ზრდაც. ეს გავლენა ხელშესახებია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა რგოლში, ყველა უბანზე, მათ შორის ჩვენს სოფლებშიც და მთელ გორის რაიონშიც.

სწორედ საქმისადმი პარტიული მიდგომა, კომუნისტური იდეურობა გვიკარნახებს მოვახსენოთ ყრილობას არა მარტო მიღწეული წარმატებანი, არამედ ისიც, თუ რა ნაკლოვანებები და გადაუჭრელი პრობლემებიც გვაქვს.

გორის რაიონი მეხილეობის წამყვანი რაიონია ჩვენს რესპუბლიკაში. რაიონმა მეათე ხუთწლედში წინა ხუთწლედთან შედარებით ერთიორად მეტი ხილი მიჰყიდა სახელმწიფოს, ხუთწლიანი გეგმის გადამეტებით დაამზადა 57 ათასი ტონა, ხოლო 1980 წელს რეკორდული რაოდენობა — 110 ათასი ტონა. მაგრამ გორელ კომუნისტებს უფლება არა გვაქვს ამ მოსასმენად სასიამოვნო ციფრების მიღმა არ დავინახოთ სერიოზული ნაკლოვანებანი, არ ვაღიაროთ, რომ მეხილეობის ნამდვილად ინტენსიურ დარგად დაქცევისათვის ჯერ კიდევ არ აგვიმოქმედებია ყველა რეზერვი, მათ შორის მთავარი რეზერვი— მოსავლიანობის გადიდება.

მეათე ხუთწლედში რაიონში ხილის საშუალო ჰექტარობრივმა მოსავლიანობამ დაგეგმილი 67,8 ცენტნერის ნაცვლად 54 ცენტნერი შეადგინა. დაგეგმილ დონეს რომ ვერ მივაღწიეთ, არაფერ შეაშია უამინდობა და არც სხვა რაიმე, რომელთა მოშიზეზებასაც ჯერ ვერ გადავეჩვიეთ. თვითონ განსაჯეთ: თუ ერთნაირ პირობებში მყოფ რაიონის რამდენიმე მეურნეობას საშუალოდ ჰექტარზე 100-200 ცენტნერი ხილი მოჰყავს, მათ მეზობლებს კი 8-20 ცენტნერი, ჩამორჩენის ერთადერთი ობიექტური მიზეზი ცუდი მუშაობა ყოფილა.

თავის ქებად ნუ ჩამომართმევთ ციფრი. შარშან რაიონის ყოველ საზოგადოებრივ მეურნეობას ტყვიაველების მსგავსად საშუალოდ ჰექტარზე 128 ცენტნერი ხილი რომ მიეღო, 10736 ჰექტარი საზოგადოებრივი ბაღიდან რაიონი მიიღებდა 137420 ტონას, ანუ სამჯერ უფრო მეტს, ვიდრე სინამდვილეში მოკრიფა. აი რეზერვი, რომელსაც ხელი უნდა მოჰკიდოს რაიონის ყველა კომუნისტმა, თითოეულმა მეხილემ. მომდინარე ხუთწლედში გორის რაიონში გათვალისწინებულია მოვიყვანოთ 659 ათასი ტონა ხილი, რასაც უნდა მივაღწიოთ ხეხილის ბაღების ჰექტარობრივი მოსავლიანობის გადიდებით. სრულიად რეალურად გვაჩნია თითოეულ ჰექტარზე 100 ცენტნერი ხილის მიღება.

ამასთან ერთად, მინდა ყურადღებას მოვახსენო რამდენიმე ნამდვილად ობიექტური მიზეზიც, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს მეხილეობის ჩქარმეტად ინტენსიურ დარგად გადაქცევაში. გორის რაიონს, სადაც ძირითადი დარგი მეხილეობა მოჰყავს 23 დასახელების ხილის მეურნეობის პირობებში ამასთან ხილის, ბოსტნეულის შაქრის ჭარხლის, სიმინდის ალაბა თითქმის ერთდროულად იყება. მუშახელის უკმარისობა გამო ალოობა ჭიანურდება, ზრდება პროდუქციის ხარისიზრდება დანაკარგები. ამიტომ გორის რაიონის მშრომელები ერთხელ კიდევ ვაყენებთ წინადადებას მოხდეს მეხილეობასთან დაკავშირებული დარგების სპეციალიზაცია და ნორმირება.

კვლავ შეშფოთებას იწვევს ხილის მიღების, გადამუშავების და შესანახი ბაზების სიმცირე. იმის მიუხედავად, რომ ყოველწლიურად მოსახლეობა ამზადებს პროდუქციის 40 პროცენტს, ხილის მიმღები პუნქტების უმეტესობა პრიმიტიულ და დაკვებულ ბინებშია მოთავსებული. ეფიქრობ, აუცილებელია ამიერკავკასიის ყველა საზოგადოებრივ საწარმოებს ჰქონდეს დამხმარე საამქრო ჩირის, ნატურალური წვენებისა და პიურეს დასამზადებლად. უამისოდ რაიონში ყოველწლიურად 10 ათას ტონამდე ხილს ვკარგავთ. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ რაიონის გადამამუშავებელი მრეწველობა ვერ მიეცემა ხილის წარმოების გადიდების ტემპს. შარშან 14 ათასი ტონა ხილი გადასამუშავებლად რაიონის ფარგლებს გარეთ გავზავნეთ.

(დასასრული მე-3 გვ.)

ამხ. ლ. გ. ვარდოსანიძის სიტყვა

(ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსი)

მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდა ქვანახშირის, ნავთობპროდუქტების, საშენი მასალებისა და სხვათა დატვირთვის გეგმა. გადაჭარბებით შესრულდა აგრეთვე

კამათი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ზ. ა. პატარიძის მოხსენებების გამო „პარტიის XXVI ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტის „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებათა“ შესახებ“

(დასასრული)

როდესაც დარგის განვითარებაზე ვლაპარაკობთ, გვერდს ვერ ავუვლით იმ გარემოებას, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ დღემდე ვერ გადაწყვიტა ახლად შექმნილი მეხილეობის აგროსამრეწველო კომპლექსების ორგანიზაციული სტრუქტურის ჩამოყალიბების, მათი განვითარების ორგანიზაციულ-სამეურნეო პერსპექტიული გეგმების შედგენისა და პრაქტიკული განხორციელების საკითხი.

რაიონის მეხილეები ვაპირებთ მაქსიმალურად ავითვისოთ მიგდებული, გამოუყენებელი მიწები, გზისპირები, შიდაქარსაფარი ზოლები კურკოვანი ხილისა და კაკლის ხეების გასაშენებლად, მაგრამ ხელს გვიშლის სარწყავი წყლის ნაკლებობა. თუმცა არც სასმელი წყალი გვაქვს საკმარისად. სწორედ ამიტომ მინდა დავაყენო ვანათის წყალსადენის რეკონსტრუქციის საკითხი წყლის დებიტის მნიშვნელოვანი გადიდების გათვალისწინებით.

და ბოლოს, გულისტკივილით მინდა აღვნიშნო, რომ პრესამ და ტელევიზიამ, ჩვენმა თვალსაჩინო მწერლებმა, ხელოვნების მუშაკებმა დაიგიწყეს მეხილეები. მართალია მეხილეთა საერთო წარმატებები ჯერ ვერ არის ისეთი მასშტაბური, როგორც, ვთქვათ, მევენახეებისა და მეჩაიეებისა, მაგრამ განა მეხილეთა შორის ცოტაა უხვი მოსავლის ოსტატი, საქმისათვის თავდადებული ადამიანი?

გორის რაიონის ყველა კომუნისტის, ყველა მშრომელის სახელით საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას აღვუთქვამ, რომ ყველაფერს გავაკეთებთ მეთერმეტე ხუთწლედის მაღალი მიჯნების დალაშქვრისათვის, კიდევ უფრო ავამაღლებთ პარტიული ორგანიზაციების გავლენასა და ავტორიტეტს, შეურიგებლად ვიბრძოლებთ ყოველგვარი ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ, ვიქნებით აქტიური იდეური მებრძოლები საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა უბანზე. **(ტაში).**

ამხ. გ. ბ. ქაშაკაშვილის სიტყვა

(ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის დირექტორი)

ამხანაგებო! ზესტაფონელი მეტალურგები საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობას შეხვდნენ ახალი საწარმოო მიჯნების მიღწევის რწმენით. წარმატებით შესრულდა 1980 წლის სახელმწიფო გეგმა და სოციალისტური ვალდებულებანი. გეგმის გადაჭარბებით წარმოებული და რეალიზებული 786 ათასი მანეთის საერთო პროდუქცია. 126,3 პროცენტით შესრულდა სახელმწიფო ხარისხისნიშნიანი პროდუქციის წარმოება, რომლის საერთო როდენობამ 36 მილიონ მანეთს გადააჭარბა და 47 პროცენტს მიაღწია. წარმატებები უპირველეს ყოვლისა მოპოვებულია XXVI ყრილობის დელეგატის ვახტანგ არაბიძის, სოციალისტური შრომის მგრიონის გრიგოლ ნანიტაშვილის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ოთარ გაჩეჩილაძის, ელექტრიკოსთა ბრიგადის ხელმძღვანელის იაკობ ქუქჩიშვილისა და სხვა ცნობილ მეტალურგთა თავდადებული შრომის შედეგად.

სიტყვა, რომელიც შარშან ივლისში მისცა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს ჩვენს ქარხანაში ახალი სიმძლავრეების ამოქმედების შესახებ, მშენებელთა, მემონტაჟეთა და მეტალურგთა თავდადებული შრომის შედეგად წარმატებით შეკვასრულეთ. მეათე ხუთწლედის ფინიშზე ვადაზე ადრე ამოქმედდა ახალი ზემძლავრი ელექტროღუმელები და ახლა მაღალხარისხოვან პროდუქციას იძლევიან.

პარტიის XXVI ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტი „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი“ წარმოთქმის მოცულობის ზრდასთან ერთად ითვალისწინებს ლითონპროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას ძირითადად ლეგირებული და ნახევრად ლეგირებული ფოლადების წარმოების გადიდების შედეგად, რაც ორ-სამჯერ ზრდის მოთხოვნილებას მანგანუმიან შენადნობზე. ამიტომ მეთერმეტე ხუთწლედში მანგანუმიანი შენადნობის წარმოების ზრდა და მანგანუმის გამოყენება ითვლება მნიშვნელოვან პრობლემად და ხაზგასმით არის აღნიშნული ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საპროგრამო დოკუმენტში.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ რამდენჯერმე განიხილა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მუშაობა. მშრომელთა შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების, აგრეთვე ქალაქში გარემოს გაჯანსაღების შესახებ ზემდგომი ორგანოების მიერ მიღებული დადგენილება ჩვენი კოლექტივის მოქმედების საბრძოლო პროგრამად იქცა.

ეს დადგენილება განმსჭვალულია მშრომელი ადამიანის, მისი შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის ზრუნვით. მისი განხორციელების პერიოდში კაპიტალურად შეკეთებული და რეკონსტრუირებულია სამი ღუმელი, დანარჩენი ღუმელები ჩართულია გაზგამწმენდ მოწყობილობაში. 1980 წლის პირველი ივლისიდან ლიკვიდირებულია გარემოს გაბინძურების კერა.

სახეს იცვლის სამრეწველო შენობა-ნაგებობა. ჩვენი ვარაუდით, წლის დამლევისათვის ყველა საწარმოო შენობა ხელახლა აღიჭურვება.

კაპიტალურად შეკეთებული და რეკონსტრუირებულია სასადილოები და აბანო-გასაბდელები. ბოლო ხანს საგრძნობლად გაიზარდა ქარხნის ყველა მუშის საშუალო ხელფასი, მათთვის ორგანიზებულია შეღავათიანი სადღეგრძელო კვება. მეტალურგები დარწმუნდნენ თავიანთ ძალებში და ოპტიმისტურად შეჰყურებენ საწარმოს ხვალინდელ დღეს.

მიღწეული არ გვაძლევს თვითდამშვიდების უფლებას. საიდუმლო არ არის, რომ ქარხნის შენობა-ნაგებობათა გარკვეული ნაწილი არ შეესაბამება უსაფრთხო მუშაობის დღევანდელ ნორმებს. მეოთხე საამქრო კვლავ ბოლავს, გაზგამწმენდი დანადგარების აგებისათვის ასთვისებელია 6,8 მილიონი მანეთი. მეხუთე საამქროს კომპლექსის ნორმალური ექსპლოატაციისათვის მიმდინარე წლის პირველ კვარტალში კიდევ ბევრია გასაკეთებელი. საპროექტო ორგანიზაციებმა დაგვიანებით ჩაგვაბარეს საჭირო ნახაზები, უნდა ვეცადოთ დავიჩქაროთ ტექნიკის საუცხოო მიღწევის — ავტომატიზებული პროგრამული მართვის სისტემით აღჭურვილი სადნობი აგრეგატების შეუფერხებელი მუშაობა.

მომავალი წლისათვის ჩვენი ქარხნის წინაშე დგას წარმოების შემდგომი გაფართოების გრანდიოზული პროგრამა, ზრდის ტემპი 24,5 პროცენტს შეადგენს. საქმეს ისიც ართულებს, რომ მცირდება ჭიათურიდან პირველი ხარისხის მანგანუმის მოწოდება. მის ნაცვლად ვიღებთ დაბალხარისხოვან კონცენტრატებს, რაც გამოიწვევს ღუმელების წარმოებლობის შემცირებას, პროდუქციის ხარისხის გაუარესებას, ხარისხის უმაღლესი კატეგორიის ფეროშენადნობთა გამოსავლის შემცირებას.

რეკონსტრუქციის სამუშაოებისა და ახალი სიმძლავრეების ათვისების პარალელურად მეთერთმეტე ხუთწლედში მეცნიერებთან ერთად უნდა დავნერგოთ ახალი ტექნოლოგიური პროცესები მწირი მადნების გამოყენებით, მოვახდინოთ შრომატევადი სამუშაოების მექანიზაცია და ავტომატიზაცია, ახალი პროგრესული ტექნოლოგიის გამოყენების გზით სრულყოთ ქარხნის საწარმოო ციკლი.

მეტალურგიის ინსტიტუტის თანამშრომლებთან ერთად ამ დღეებში სამრეწველო დანადგარში მივიღეთ სილიკომანგანუმი ტექნოლოგიაში დეფიციტური კოქსისა და კვარციტის ნაცვლად ადგილობრივი თერმულად დაუმუშავებელი ნახშირების გამოყენებით. ფერომანგანუმის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით უნდა დავაჩქაროთ დნობის ფლუსური მეთოდის, სხვა პროგრესული ტექნოლოგიური ხერხების დანერგვა.

საწარმოო ნარჩენების გამოყენების მიზნით ქარხანაში გარკვეული სამუშაოები განხორციელდა. ამ საკითხის კარდინალური გადაწყვეტისათვის მიმდინარე წელს უნდა დამთავრდეს წიდების კომპლექსური გადამუშავების უნნის მშენებლობა, რაც საშუალებას მოგვცემს ქარხანა გადავიყვანოთ უნარჩენო ტექნოლოგიაზე და წლების განმავლობაში რაიონის ცენტრში დაგროვილი წიდა სახალხო მეურნეობაში გამოვიყენოთ.

ჩვენს ქარხანაში ჯერ კიდევ დაბალია წარმოების კულტურა, მოთხოვნებს არ შეესაბამება შრომის მეცნიერული ორგანიზაციისა და მართვის დონე, რაც განპირობებულია კადრების მომზადებაში არსებული ნაკლოვანებებით. ვითარების გაჯანსაღების მიზნით ქარხნის საშუალო რგოლში მოხდა გარკვეული ცვლილებები, გაანახლდა პროფკავშირის საქარხნო და პარტიული კომიტეტების შემადგენლობა. გააქტიურდა მუშაობა კადრების აღზრდისა და მომზადებისათვის.

ქარხანაში სააგლომერაციო ფაბრიკის, ახალი სიმძლავრეების ამოქმედებამ დააჩქარა ტექნიკური პროგრესი. ახალმა ზემძლავრმა ღუმელებმა საშუალება მოგვცა ძმიმე ფიზიკური შრომისაგან გაგვეთავისუფლებინა მეტალურგები. ამ აგრეგატების დისტანციურ მართვას უფრო გონივრული, ტექნიკური ცოდნის მეტი სიღრმე სჭირდება. ამჟამად ქარხანას, როგორც არასოდეს, კვალიფიციური მდნობელების, ელექტრიკოსებისა და მექანიკოსების გარდა სჭირდება აქამდე უცხო დარგების — ელექტროტექნიკის, გამოთვლითი ტექნიკის ტელემექანიკოსი სპეციალისტები.

ამის გამო საჭიროა დაჩქარდეს ზესტაფონში საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის საღამოს ფილიალის აღდგენა. ამ საკითხის გადაწყვეტის გაჭიანურება დაუშვებელია.

მეათე ხუთწლედში ფეროშენადნობთა ქარხანაში კაპიტალური დაბანდებანი ძირითადად მოხმარდა საავლომერაციო ფაბრიკისა და ახალი სადნობი სიმძლავრეების ამოქმედებას. მეთერთმეტე ხუთწლედში ძირითად და დამხმარე საამქროებს შორის არსებულ დისპროპორციაში წონასწორობის აღდგენის მიზნით კაპიტალდაბანდებათა ნახევარზე მეტს გამოვიყენებთ დამხმარე საამქროებისა და ბუნების დაცვის ობიექტების მშენებლობისათვის. 37 პროცენტი, ანუ 16,5 მილიონი მანეთი გამოყოფილია სოციალურ-კულტურული დაწესებულებებისა და საბინაო მშენებლობებისათვის.

სოციალურ-კულტურული და საბინაო მშენებლობის პროგრამა რომ განხორციელდეს, საჭიროა დაჩქარდეს კვალითის საცხოვრებელი რაიონის მეორე რიგის მშენებლობისათვის ადგილის გამოყოფა. დაყოვნების შემთხვევაში ჩაიშლება ბინათმშენებლობის პროგრამა 1982 წლისათვის.

ის, რაც ბოლო წლებში გაკეთდა ქარხნის მშრომელთა მთელი რაიონის საკეთილდღეოდ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მთავრობას დიდი ზრუნვისათვის. მეტალურგები ყრილობის ტრიბუნიდან ფოლადიერთ მტკიცე პირობას ვიძლევთ, რომ ამ ზრუნვასა და ყურადღებას თავდადებული შრომით ვუპასუხებთ. ახალი წარმატებებით შეეხვდებით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობას, საქართველოს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა საქართველოს სახელოვან იუბილეს. **(ტაში).**

ფაქტები □ მოვლენები □ კომენტარი □ გამოხმაურება

საკმესისა და ახალი ამბების საკვენტოს კორესპონდენტები გვაცნობინებენ

3 თებერვალი

□ **რუმინეთი:**

სიახლეთა ქრონიკა

4 თებერვალს სრულდება 38 წელი სსრ კავშირსა და რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების პირველი ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან. ამ ხელშეკრულების ხორცშესხმამ დიდი წვლილი შეიტანა მოძმე ქვეყნის ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში.

კონვეიერზეა ახალი მანქანები

ახალი ხუთწლედის პირველ თვეში რუმინეთში დაიწყო ორი ახალი სრულყოფილი მოდელის ავტომანქანის გამოშვება. ბრაშოვის ავტომშენებლებმა დაამზადეს 27 ტონა ტვირთამწეობის ახალი ტიპის თვითმცლელების პირველი პარტია. ამჟამად ეს საწარმო, რომელიც საბჭოთა კავშირის ტექნიკური ხელშეწყობით აიგო, წელიწადში 37 ათას ავტომანქანას უშვებს. ქარხნის პროდუქციის 30 პროცენტზე მეტი უცხოეთში იგზავნება. ქარხანა უშვებს თანამედროვე დიზელურ სატვირთო მანქანებს „რომანს“ და „დაკს“, 50-დან 100 ტონამდე ტვირთამწეობის თვითმცლელებს.

კიმპულუნგ-მუსჩელის საავტომობილო ქარხანაში დაიწყო ყველგანმავალი „არო-10“-ის სერიული წარმოება.

იზრდება ენერგეტიკული ბაზა

ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების მნიშვნელოვანი მიმართულებაა საკუთარი ენერგეტიკული ბაზის განმტკიცება. უკანასკნელ ხანს ახალი სიმძლავრეები შეემატა „ტურჩენის“ და „დევას“ თბოელექტროსადგურებს, ოლტის ჰიდროკასკადს.

მომავალი ხუთწლედის (1981-1985 წლები) ბოლოს ელექტროენერგიის საერთო გამომუშავებაში 55 პროცენტით გაიზრდება იმ ელექტროსადგურების ხვედრითი წილი, რომლებიც ქვანახშირითა და ფიქლით მუშაობენ. საექსპლოატაციოდ გადაეცემა „რკინის კარიბჭე-II“, „ტურნუ-მეგურელენიკოპოლის“ ჰიდროელექტროსადგურები. გათვალისწინებულია ახალი ჰიდროელექტროსადგურების აგება დუნაიზე და სხვა მდინარეებზე, აგრეთვე რუმინეთში პირველი 660 მეგავატის სიმძლავრის ატომური ელექტროსადგურის ამუშავება.

უძველესი ხელოვნების ლექსიკონი

სამეცნიერო-ენციკლოპედიურმა გამომცემლობამ გამოუშვა „რუმინეთის უძველესი ხელოვნების ენციკლოპედიური ლექსიკონი“. მასალები სისტემატიზებულია სამი ნიშნის მიხედვით ტოპოგრაფიული (არქეოლოგიური გათხრები ადგილმდებარეობისა და დასახლებული პუნქტების მიხედვით), ტიპოლოგიური (კლასიფიკაცია თემატიკის მიხედვით ქრონოლოგიური თანამიმდევრობით), აგრეთვე ჟანრის მიხედვით. ლექსიკონში მითითებულია მუზეუმები, სადაც დაცულია ქვეყნის უძველესი ხელოვნების არქეოლოგიური ძეგლები.

ირან-ერაყის კონფლიქტი

კუვეიტი, უკანასკნელ დღეებში არ მომხდარა არსებითი ცვლილებები მხარეთა მდგომარეობაში ირან-ერაყის ფრონტზე. ირანის ჯარებმა მოიპოვეს უმნიშვნელო წარმატება სარი-პოლე-ზოჰაბის რაიონში, სადაც მათ მოახერხეს 10-12 კილომეტრით წინ წაწევა.

პუზისტანში ერაყის შეიარაღებულმა ძალებმა შეტევითი მოქმედების შედეგად, როგორც იტყობინებიან, დაიკავეს ქალაქი ბოვეიზე და ამჟამად იბრძვიან ქალაქ სუსენგერდისათვის.

ფრონტის სხვა უბნებზე მიმდინარეობს ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები, ორივე მხარე ერთმანეთს უშენს არტილერიის ცეცხლს, თავს ესხმის საარმიო ავიაცია,

როგორც იტყობინებიან, ერაყის ავიაცია თავს ესხმოდა ირანის ჰარკის, ქიშისა და ლავანის კუნძულებს, აგრეთვე ბუშირისა და ლენგის ნავსადგურებს.

შეთანხმებას მიაღწიეს

ბრაზილია. პერუმ და ეკვადორმა მიიღეს გადაწყვეტილება შეიარაღებული სახაზღვრო კონფლიქტის რაიონში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. როგორც აქ ბრაზილიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა განაცხადა, ამ ორმა სახელმწიფომ ეს აცნობეს 1942 წლის რიო-დე-ჟანეიროს იმ ოქმის გარანტ სახელმწიფოებს, რომლითაც დადგინდა პერუ-ეკვადორის საზღვრები.

ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების მოქმედების კონტროლისათვის იქმნება მეთვალყურეთა კომისია.

მზაკვრული მიზნები

პარიზი. ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო ამუშავებს აფრიკაში ვითარების დიტაბილიზაციის გეგმებს, იყენებს „ეურნალი „აფრიკ-აზი“, რომელიც აქ გამოდის. თვთრ სახლში ახალი ადმინისტრაციის მოსვლასთან დაკავშირებით, ბაზს უსვამს ჟურნალი, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს წინაშე დაისახა ამოცანა პენტაგონსა და ნატოს მჭიდრო თანამშრომლობით დაგეგმოს და მოაწყოს კონტინენტის საქმეებში ჩარევის აქციები. ამასთან მთავარი ყურადღება დაეთმობა იმ ქვეყნებს, რომლებიც უარს ამბობენ მხარი უსწორონ ამერიკის სტრატეგიას და რომლებსაც ვაშინგტონი „პროსაბჭოურ“ ქვეყნებად მიიჩნევს.

□ **„ტრიბუნა ლუდუს“ ფურცლებზე**

ვითარება პოლონეთში

ვარშავა, პოლონეთში შექმნილ სიტუაციას ახასიათებს მწვავე პოლიტიკური ბრძოლა. მუშათა კლასის დიდი ნაწილი თანდათან სულ უფრო ნათლად ერკვევა, თუ რაოდენ სერიოზულია ვითარება, რაოდენ საშიშია საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების შემდგომი დეტაბილიზაცია, და მოელის, რომ განხორციელდება კონტრრევოლუციის მოგერიების გაძლიერების ღონისძიებანი. მაგრამ, გაფიცვების ტალღა არ ნელდება. კერძოდ, გაფიცვა გრძელდება ბელსკის სავოევოდოში, სადაც არ მუშაობს ახზე მეტი საწარმო. მთელ ქვეყანაში ავრცელებენ პროვოკაციულ ფურცლებს.

ამასთან დაკავშირებით „ტრიბუნა ლუდუ“ წერს, რომ ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან მოდის ცნობები აქციების შესახებ,- რომლებიც ძალზე ამწვავებს პოლონეთის ვითარებას. იმ დროს, როცა ქვეყანას ძალზე სჭირდება სიმშვიდე და ნორმალური მუშაობა, გააქტიურდა მოქმედება, რომლის მიზანია ეკონომიკისა და საზოგადოებრივი ცხოვრების კიდევ უფრო შერყევა. გაფიცვები ზეგავლენის საშიში საშუალება გახდა.

ამ პოზიციიდან უნდა განვიხილოთ, წერს შემდეგ „ტრიბუნა ლუდუ“, ზოგიერთი ადგილობრივი პროფკავშირული მოღვაწის საქციელი. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ისინი დაინტერესებული არიან სიტუაციის გამწვავებით, იყენებენ ყოველ საბაბს, იქნება ეს არასამუშაო შაბათები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მისაწვდომობა, ეგრეთ წოდებული „სოფლის სოლიდარობის“ რეგისტრაცია თუ რაღაც მთელი რიგი „ადგილობრივი მოთხოვნები“, მათ შორის, მაგალითად, სავოევოდო ხელმძღვანელების თანამდებობიდან მოხსნა. ისინი ანგარიშს არ უწევენ არავითარ არგუმენტს და თავიანთი მოქმედებით ხელს უწყობენ ანარქიას. ყოველივე ეს იწვევს უდიდეს სოციალურ-ეკონომიკურ დანაკარგებს. აბრკოლებს მოლაპარაკებას, აგრეთვე ახალი მექანიზმებისა და საზოგადოებრივი სტრუქტურების განმტკიცებას.

საზოგადოება მოიქანცა, ქვეყნის ეკონომიკა კი შესუსტდა, წერს გაზეთი. შეიძლება წარმოვიდგინოთ, რა შეუქცევად შედეგებს მოუტანს ქვეყანას, თუ ახლანდელ დონეზე გაგრძელდება გაფიცვები, წერს დასასრულ „ტრიბუნა ლუდუ“.

ქრონიკა ადგილებზე

აკოწიწებენ ახალ სამხედრო ბლოკს

დელი, ინდოეთის პრესა იუწყება, რომ ეტ-ტაიფში (საუდის არაბეთი) ამას წინათ დამთავრებულ მუსლიმანური ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების კონფერენციაზე განიხილეს სპარსეთის ყურის ზონის მთელი რიგი სახელმწიფოთა გაერთიანების შექმნის გეგმები. ომანის, კატარის, ბაჰრეინისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის ხელმძღვანელებს გაეგზავნათ საიდუმლო წერილები.

„ტაიმს ოფ ინდია“ აღნიშნავს, რომ ასეთი გაერთიანების საფუძველი უკვე არსებობს და რომ „დასავლეთის ქვეყნები მიესალმებიან მასში საუდის არაბეთის გავლენიან როლს“.

როგორც ცნობილია, ვაშინგტონი, რომელიც ცდილობს გააძლიეროს თავისი სამხედრო-პოლიტიკური ყოფნა ახლო და შუა აღმოსავლეთში, დიდი ხანია ადგენს სპარსეთის ყურის რაიონში რეაქციული ბლოკის შექმნის გეგმებს, რომელსაც ხელს გაუმაგრებს შეერთებული შტატები.

კაირო, გაზეთი „ალ-აჰბარი“ არ მალავს, რომ, კაიროს აზრით, სპარსეთის ყურის სახელმწიფოთა გაერთიანებას, რომლის შექმნაც ახლა იგეგმება, ანტისაბჭოური და პროამერიკული მიმართულება უნდა ჰქონდეს. გაზეთი იმეორებს გაკვეთილ მონაჩმახს საბჭოთა საფრთხის“ შესახებ და წერს: იმისათვის, რომ „ახალი კავშირი ეფექტიან ძალად იქცეს, მას ამერიკის შეერთებული შტატების დახმარება სჭირდება“, რომელსაც, როგორც მან თქვა, „განსაკუთრებული ინტერესები აქვს მსოფლიოს ამ რაიონში“.

□ **ფოტოობიექტივი ამხილებს**

იაპონია:

მოითხოვენ კანონის მიღებას

ჯდომარე საპროტესტო დემონსტრაცია მოაწყვეს ტოკიოში ჯანმრთელობისა და სოციუზრუნველყოფის სამინისტროს შენობასთან ხიროსიმისა და ნაგასაკის ატომური დაბომბვის მსხვერპლთა ორგანიზაციის წარმომადგენლებმა (სურათზე).

1953 წლიდან ქვეყანაში ფართოდ გაიშალა მასობრივი მოძრაობა „ხიბაკუსიათვისის“ (ასე უწოდებენ ამერიკული ატომური ბომბების აფეთქების შედეგად დაავადებულ იაპონელებს) სახელმწიფო დახმარების შესახებ კანონის მიღებას. მაგრამ წლეულს მთავრობამ ცინიკურად განაცხადა, რომ თავს ვალდებულად არ თვლის დაეხმაროს მათ, ვინაიდან ატომური დაბომბვა არ მოიხსენა „საერთაშორისო სამართლის დარღვევად“.

ამ განცხადებამ მძლავრი საპროტესტო მოძრაობა გამოიწვია. ჯაპან პრეს-საკდესის ფოტო.

უკანასკნელ ხანს მსოფლიოს მასობრივი ინფორმაციის ორგანოები სულ უფრო მეტ დროსა და ადგილს უთმობენ იაპონიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ახალი ასპექტების ანალიზს. თვით იაპონიაში მსჯელობის მთავარ საგნად იქცა საერთაშორისო ასპარეზზე ქვეყნის პოლიტიკური როლის ზრდის აუცილებლობა, ის, რომ იგი იაპონიის ეკონომიკური პოტენციალის პირდაპირ პროპორციული უნდა იყოს და ა. შ. მართლაც, სადაო არ არის, რომ იაპონელი ხალხის შრომისმოყვარეობისა და ორგანიზებულობის შედეგად ქვეყნის ეკონომიკამ თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია ომისშემდგომ წლებში. მაგალითად, თუ 1950-1973 წლებში სამრეწველო პროდუქციის წლიური მატება ამერიკის შეერთებულ შტატებში 3,7 პროცენტს, ხოლო დასავლეთ ევროპის ქვეყნებში 3,6 პროცენტს შეადგენდა, იაპონიაში ამ მაჩვენებელმა 11,3 პროცენტს მიაღწია.

80-იანი წლების დამდეგს იაპონიამ ბევრი მაჩვენებლის მიხედვით შეამცირა სხვაობა ამერიკასთან შედარებით და კიდევ უფრო გაუსწრო დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებს.

ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, ქვეყნის მმართველი წრეები ცდილობენ შესაბამისად გაზარდონ იაპონიის პოლიტიკური პოტენციალიც და ეს, ალბათ, მისასალმებელი ფაქტიც იქნებოდა, რომ დასახული კურსი აზიაში და მთელ მსოფლიოში დაძაბულობის შენელებისა და მშვიდობის განმტკიცების საქმეს ემსახურებოდეს. სამწუხაროდ, იაპონიის მთავრობას ქვეყნის პოლიტიკური როლის ზრდა მხოლოდ მილიტარიზაციის გზით ესახება.

...შარშან აგვისტოში იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ, რომელიც მანამდე გარკვეული სიფრთხილით ეკიდებოდა სამხედრო საკითხებს, დიპლომატიის საკითხებისადმი მიძღვნილი „ცისფერი წიგნი“ გამოაქვეყნა, რომელშიც აშკარად არის ნათქვამი, რომ შეიარაღებული ძალების გაუმტკიცებლად იაპონიას არ შეუძლია უზრუნველყოს თავისი საგარეო პოლიტიკის წარმატებით განხორციელება შეიარაღებულ ძალთა განმტკიცება კი შეიძლებელია, თუ არ გადაისინჯა მოქმედი კონსტიტუცია. საინტერესოა, რომ სულ რამდენიმე წლის წინათ წარმოუდგენელი იყო ლაპარაკი კონსტიტუციის გადასინჯვაზე — ეს პოლიტიკურ მკრეხელობად მიაჩნდათ. დღეს კი ასეთი მოთხოვნები პარლამენტის ტრიბუნიდანაც კი გაისმის.

რამდენიმე დღის წინათ გაზეთმა „ასახი“ გამოაქვეყნა ეროვნული თავდაცვის სამმართველოს და საგარეო საქმეთა სამინისტროს ერთობლივი მოხსენება — „თავდაცვის დარგში იაპონიისა და ამერიკის შეერთებული შტატების თანამშრომლობის კურსი“, რომელიც, ფაქტობრივად, ტოკიოს სამხედრო-პოლიტიკურ კონცეფციას წარმოადგენს. ფარდას ხდის რა ორი ქვეყნის ერთობლივ სამხედრო ოპერაციათა საიდუმლო გეგმებს, დოკუმენტი თავიდან ბოლომდე განმსჭვალულია მილიტარისტული ამბიციებით. კერძოდ, გათვალისწინებულია იაპონიის შეიარაღებულ ძალთა განსაკუთრებული მზადყოფნა ამერიკის არმიასთან ერთობლივი მოქმედებისათვის. დოკუმენტის ავტორები უგულებელყოფენ მოქმედი კონსტიტუციის მოთხოვნებს და შესაძლებლად მიაჩნიათ იაპონიის შეიარაღებული ძალების საზღვარგარეთ გაგზავნა ამერიკის შეიარაღებულ ძალებთან ერთად სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობისათვის.

ფართოდება იაპონიის სამხედრო კონტაქტები ნატოს სხვა სახელმწიფოებთან. შარშან ნოემბერში ტოკიოში ვიზიტად იყო ინგლისის სამხედრო-საზღვაო ძალთა შტაბის უფროსი, ადმირალი ლიჩი, ხოლო იმავე პერიოდში ინგლისს ეწვია იაპონიის სახმელეთო ძალთა შტაბის უფროსი სეძუკი, რომელსაც ინგლისის თავდაცვის მინისტრთან მოლაპარაკება ჰქონდა „იაპონია-ბრიტანეთის სამხედრო თანამშრომლობის გაღრმავების“ საკითხებზე. 1980 წლის თებერვალ-მარტში იაპონიის სამხედრო-საზღვაო ძალებმა მონაწილეობა მიიღეს ამერიკის შეერთებული შტატების, კანადის, ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის ერთობლივ მანევრებში. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც იაპონია სამხედრო ოპერაციებს ხვეწდა იმ ქვეყნებთან ერთად, რომელთა უმრავლესობასთან მას სამხედრო შეთანხმება არ აკავშირებს. ახლო მომავალში იაპონიის შეიარაღებული ძალები მიიღებენ უახლეს ტექნიკას, რომელიც ჰოკაიდოს კუნძულზე — საბჭოთა კავშირთან ყველაზე ახლოს მდებარე კუნძულზე განლაგდება. გარდა ამისა, ქვეყნის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით ჰოკაიდოზე განლაგდება აგრეთვე პირველი ჯავშანსატანკო დივიზია.

მაინც, რა კონკრეტულ რეგიონალურ თუ გლობალურ მიზნებს ისახავს იაპონიის საგარეო პოლიტიკა, რომელიც მისი ავტორთა აზრით, უფრო ქმედითი უნდა გახდეს ქვეყნის მილიტარიზაციის შედეგად? დავიწყოთ რეგიონალური მიზნებით. ჯერ კიდევ 60-იან წლებში რეგიონში ტოკიოს ნეოკოლონიალურ პოლიტიკას საფუძვლად ედო მაქსიმალური მოგების მიღება ძირითადად არაექვივალენტური ვაჭრობის საშუალებით. ნედლეულის შემოზიდვისა და პროდუქციის ფართოდ გასაღების გზით იაპონიის მონოპოლიებმა შეძლეს ღრმად გაედგათ ფესვი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში. ასეთ კურსს, როგორც მოსალოდნელი იყო, თითქმის ყველა კონტრაგენტის სავაჭრო ბალანსის ქრონიკული დეფიციტი მოჰყვა. გართულდა ეკონომიკური ექსპანსია და ტოკიო იწყებს პრიორიტეტთა შეცვლას — 70-იანი წლებიდან უშუალო ეკონომიკური მოგება ექვემდებარება ხანგრძლივ პოლიტიკურ მიზნებს და, რაც მთავარია, იაპონია განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ამერიკის შეერთებული შტატების გლობალურ გეგმებში. გავიხსენთ 1977 წლის ზაფხულში იმდროინდელი პრემიერის ფუკუდას შეხვედრა ამერიკის პრეზიდენტ კარტერთან. სწორედ ამ შეხვედრის დროს საბოლოოდ დაიხვეწა იაპონიის, როგორც ამერიკის პოლიტიკური მაკლერის როლი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, უპირველეს ყოვლისა, კი ასეთის ქვეყნებში (ფილიპინები, ინდონეზია, მალაიზია, სინგაპური, ტაილანდი).

ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ ომისშემდგომი პერიოდის იაპონელ პრემიერთა ტრადიცია დაარღვია მთავრობის დღევანდელმა მეთაურმა სუძუკიმ, როდესაც ორიოდე კვირის წინათ თავისი პირველი საზღვარგარეთული ვიზიტი ასეანის ქვეყნებში მოაწყო. (მანამდე ყველა იაპონელი პრემიერი პირველად ვაშინგტონში ჩადიოდა). ჩვენ ამჯერად ვიზიტის პოლიტიკური მხარე გვაინტერესებს, როგორც შედარებით ახალი მომენტი.

სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია კარგად არის ცნობილი, როგორც წიაღისეულით მსოფლიოს ერთ-ერთი უმდიდრესი რეგიონი. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია მისი მდებარეობა წყნარი და ინდოეთის ოკეანეთა შესაყარზე და უმნიშვნელოვანესი მსოფლიო გზების გზაჯვარედინზე, რაც შეეხება ასეანს, ეს ორგანიზაცია შეიქმნა 1967 წელს, როგორც რეგიონალური გაერთიანება, რომლის მიზანია ეკონომიკური, სოციალური და კულტურული თანამშრომლობა. როგორც ვხედავთ, სამხედრო ასპექტები საერთოდ გამორიცხულია, მაგრამ ვაშინგტონი ჯიუტად ცდილობს ამ მნიშვნელოვანი ფაქტის იგნორირებას, მეტ

კ ე თ ი ლ ი დ ა მ რ ი გ ე ბ ე ლ ი



ადამიანის სიცოცხლის ფასი მისი პირადი კეთილდღეობით არასოდეს განუსაზღვრავთ. საზოგადოებრივი საქმის ერთგულების გრძნობა უნდა იყოს მომძღავრებული ჭეშმარიტი მოქალაქის გულში...

როცა ასეთ ადამიანებზე ვფიქრობთ, თვალწინ ერთ-ერთი პირველი დაგვიდგება ხოლმე ჩვენი უფროსი კოლეგა და მასწავლებელი, ახალგაზრდობის კეთილი დამრიგებელი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნიკოლოზ იოსების ძე წერეთელი, რომელმაც სიცოცხლის 75-ე წლის ზღურბლს სულ ახლახან გადააბიჯა და რომელსაც თავისი ცხოვრების ამ არცთუ ია-ვარდით მოფენილ გზაზე, ყოველთვის ღირსეულად და პატიოსნად უფლია.

ნ. წერეთელი 1905 წელს დაიბადა ჭიათურის რაიონში, „მეცნიერთა სოფლად“ შერაცხულ ცხრაკვეთში. ჯერ კიდევ მოწაფეობის ხანაში, თბილისის ვაჟთა გიმნაზიაში სწავლისას, შეუსისხლხორცებია მას პროგრესული იდეები.

საშუალო განათლების მიღების შემდეგ ნ. წერეთელი ერთხანს მასწავლებლობდა, შემდეგ კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შევიდა სოციალურ-ეკონომიკურ ფაკულტეტზე.

თავის ძირითად საქმიანობასთან ერთად ნ. წერეთელი აქტიურად მონაწილეობდა ქართული მანგანუმის ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში.

მშობელი ხალხის, მშობლიური კუთხის უსაზღვრო სიყვარულმა გააბედვინა ნ. წერეთელს ძალების მოსინჯვა დრამატურგიაში. ჭიათურის მაღაროელთა გმირულ შრომას მიუძღვნა მან თავისი პიესა „წიაღის გულში“, რომელიც ამ თეატრის სცენაზე წარმატებით დაიდგა.

ვიდრე იურიდიულ მეცნიერებაში მოღვაწეობას დაიწყებდა, ნ. წერეთელმა პრაქტიკული საქმიანობის დიდი გზა განვლო. ჭიათურის გარდა, იყო ტყიბულის ქვანახშირის წარმოების იურისტი, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს იურიდიული განყოფილების უფროსი, საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს იურიდიული კონსულტაციის გამგე. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, მას, რესპუბლიკაში ერთ-ერთ პირველთაგანს, მიენიჭა დამსახურებული იურისტის სამეცნიერო წოდება. სახალხო მეურნეობაში პრაქტიკული მუშაობის დიდმა გამოცდილებამ დაუდო სათავე მის სწრაფ მეცნიერულ წარმოჩინებას.

მეცნიერული კვლევა ნ. წერეთელმა იმთავითვე სახალხო მეურნეობის განვითარებისა და ეკონომიკური განმტკიცების სამართლებრივ პრობლემებს დაუკავშირა და ახლაც ამ მიმართულებით წარმართავს თავის მუშაობას. იგი სამართლიანად არის აღიარებული ჩვენს უნივერსიტეტში სამეურნეო სამართლის სწავლების ფუძემდებლად, სამეურნეო კანონმდებლობის ღრმა მეცნიერული ინტერპრეტაციის უნარის მქონე სპეციალისტად.

მეცნიერულ და პედაგოგიურ ღვაწლს მისი მრავალმხრივი საზოგადოებრივი საქმიანობაც ემატება: არის მრავალი სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს, იუსტიციის სამინისტროს, უმაღლესი სასამართლოს, რესპუბლიკის პროკურატურის, საზელმწიფო არბიტრაჟის წევრი, იურისკონსულტთა რესპუბლიკური საზოგადოებრივი საბჭოს თავმჯდომარე, სამართლისმცოდნეობის სახალხო უნივერსიტეტის რექტორი...

მრავალი თაობის საყვარელი აღმზრდელი და ბევრი ახალგაზრდა მეცნიერის გზის დამლოცველი პროფესორი ნიკოლოზ წერეთელი დღესაც მხნედ იღვწის საბჭოური იურიდიული მეცნიერების სარბაილზე.

რ. ფენგელია,
დოცენტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი;

მ. კაკელია,
იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ზრომით გამოვლილი ფლები

მ ე კ ვ ლ ე ვ ა რ ი, ო რ გ ა ნ ი ზ ა ტ ო რ ი

კონსტანტინე თარგამაძის დაბადების 70-ე წლისთავი

ცხოვრებაში არცთუ ხშირად გვხვდებიან ადამიანები, რომლებსაც ხელეწიფებათ აქტიურ მეცნიერულ შემოქმედებითს შრომას შეუთავსონ პასუხსაგებ თანამდებობებზე ნაყოფიერი მუშაობა. სწორედ ასეთი ნიჭით არის მომადლებული შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ეკონომიკისა და სატყეო ტაქსაციის კათედრის გამგე, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი კონსტანტინე თარგამაძე. 1934 წელს, ამიერკავკასიის სატყეო-ტექნიკური ინსტიტუტის ეკონომიკური ფაკულტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ თარგამაძე სასწავლებლად მივლინებული იყო ლენინგრადის სატყეო ტექნიკური აკადემიის ასპირანტურაში.

ასპირანტურის ბოლო კურსიდან კ. თარგამაძე რესპუბლიკის ხელმძღვანელმა ორგანოებმა გამოიწვიეს და საქართველოს საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ დანიშნეს. ახალგაზრდა სპეციალისტმა დაუღალავი, ენერგიული შრომით სულ მოკლე ხანში თავი გამოიჩინა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის პერსპექტიული და მიმდინარე დაგეგმვის საქმეში, რისთვისაც საგეგმო კომისიის თავმჯდომარის პასუხსაგებ პოსტზე დაწინაურეს.

1943 წელს კ. თარგამაძეს, რომელიც საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დანიშნეს, სხვა პასუხსაგებ ფუნქციებთან ერთად დაეკისრა სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების და სამამულო ომის ინვალიდების სახელმწიფო უზრუნველყოფა. მან ამ კეთილშობილურ საქმეს კიდევ უფრო მეტი მონდომებით მოჰკიდა ხელი ომის შემდეგ, როდესაც საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის და კომუნალური მეურნეობის მინისტრად დაინიშნა.

მთელი ამ პასუხსაგები ორგანიზატორული მოღვაწეობის პერიოდში კ. თარგამაძეს კავშირი არ გაუწყვეტია უმაღლეს სასწავლებელსა და სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტებთან; რედაქტორობდა ჟურნალ „საქართველოს სოციალისტურ მეურნეობას“, 1938 წლიდან მუშაობდა სატყეო ტაქსაციის, ეკონომიკა-ორგანიზაციის კათედრის გამგედ, ხოლო 1953-1956 წლებში — საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დირექტორად, 1974-1977 წლებში — ამავე ინსტიტუტის სატყეო-სამეურნეო ფაკულტეტის დეკანად.

ჟურნალ-გაზეთებში 1937 წლიდან სისტემატურად იბეჭდება კ. თარგამაძის სტატიები რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის დაგეგმვის, ბუნების დაცვის და სატყეო მეურნეობის აქტუალურ პრობლემებზე. მისი მონაწილეობით და რედაქტორობით პირველად გამოვიდა „ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული ეკონომიკური ტერმინოლოგია“.

კ. თარგამაძემ დიდი ამაგი დასდო მშობლიურ ენაზე სატყეო მეურნეობის ეკონომიკურ დისციპლინებში სტუდენტთა სახელმძღვანელოების შექმნის საქმეს. მისი ავტორობით გამოცემულია სატყეო მეურნეობის წარმოების ორგანიზაციის და დაგეგმვის ორიგინალური სახელმძღვანელო ორ ნაწილად.

კ. თარგამაძე 115 სამეცნიერო შრომის ავტორია. მისი კვლევითი საქმიანობის თვალსაწიერი მოიცავს სახალხო მეურნეობის ეკონომიკის, სატყეო მეურნეობის ეკონომიკისა და წარმოების ორგანიზაციის პრობლემებს.

ნაყოფიერია კ. თარგამაძის მოღვაწეობა საზოგადოებრივი საქმიანობის ასპარეზზე. იგი არის მეტყევე ეკონომისტ მეცნიერთა საერთაშორისო მეთოდიკის და სტყის მეურნეობის საგეგმო ანალიზის, სსრ კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სტყის მეურნეობის ეკონომიკისა და წარმოების ორგანიზაციის სექციების, ჟურნალ „საქართველოს სეიდანდ“ სარედაქციო კოლეგიის წევრი და სხვა. იგი არაერთხელ იყო არჩეული საქართველოს კომპარტიის ყრილობების დელეგატად, პარტიის ცენტრალური კომიტეტის და თბილისის საქალაქო კომიტეტის წევრად, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

კ. თარგამაძის საზოგადოებრივი და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობა პარტიამ და მთავრობამ ღირსეულად დააფასეს. იგი დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის, ბრიტანის სამამულო ომის, საპატიო ნიშნის ორდენებითა და მედლებით.

მიუხედავად ხანდაზმულობისა, კონსტანტინე თარგამაძე კვლავ ახალგაზრდული შემართებით ემსახურება სპეციალისტთა აღზრდის კეთილშობილურ საქმეს, უანგაროდ იღვწის ცხოვრებაში მეცნიერული აზრის დამკვიდრებისათვის.

გ. გეგენავა,
საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პრორექტორი სამეცნიერო ნაწილში, პროფესორი.

თ. კანდელაკი,
ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი სექტორის ხელმძღვანელი, დოცენტი.

დრო, ადგილი, სიახლენი

„კომუნისტისა“ და საქინფორმის კორესპონდენტები გვატყობინებენ

ბ უ ნ ე ბ ი ს დ ა ც ვ ი ს მ უ ზ ე უ მ ი

თბილისის ბოტანიკური ბაღი აირჩიეს ბუნების დაცვის ახალი რესპუბლიკური მუზეუმის შენებლობის ადგილად. მუზეუმის ექსპოზიცია ასახავს საქართველოს ფლორა-ფაუნის სიმდიდრესა და მრავალფეროვნებას. მრავალი დოკუმენტი, ფოტომასალა, სლაიდი, მაკეტი გვაცნობს იმ მუშაობას, რომელიც ჩვენს რესპუბლიკაში მიმდინარეობს გარემოს დაცვისათვის.

თბილისელმა არქიტექტორებმა ნ. მგალობლიშვილმა, გ. მგალობლიშვილმა, დ. მორბედაძემ და ნ. დუდაურმა შექმნეს ნაგებობის ორიგინალური პროექტი.

მუზეუმს ცენტრალური შესასვლელი კომკავშირის ხეივნიდან ექნება, თვით შენობა კი მდინარე წალკისხევის ხეობის ზემოთ აღიმართება. მეორე შესასვლელი მუზეუმში ბოტანიკური ბაღიდან იქნება.

ცენტრალური ნაწილის პირველ სართულს დაიკავებს ფართო ვესტიბიული, ადმინისტრაციული განყოფილებები და 150-ადგილიანი კინო-კონფერენც-დარბაზი. დანარჩენ ორ სართულზე განლაგდება საგამოფენო დარბაზები. გადასატანი ტიხრებისა და ჩამოსაკიდებელი ეკრანების საშუალებით ადგილი შესაძლებელი იქნება მათი ფართობების შეცვლა. მეოთხე სართული დაეთმობა სამუზეუმო ფონდებსა და სამეცნიერო პერსონალის მუშაობისათვის საჭირო ოთახებს.

ბუნების დაცვის მუზეუმის მშენებლობის დაწყება გათვალისწინებულია 1982 წლისათვის.

გ ა მ ფ ე — მ ე ო რ ე ო ჯ ა ხ ი

ბოდახეთში მოსახლე არჩილ და მართა ხვლეურებს ნია-გრუზინსკაიადან მიღებულმა ბარათმა მეორე შვილიშვილის შეძენა ამცნო. გაიხარა ივრისპირელმა ფშაველმა, — ჩემი მეორე ოჯახი ბავშვი იზრდება და ძლიერდებაო. მართლაც საამაყო და თავმოსაწონია მთამი გაზრდილი მეცხოველეკაცისათვის, როცა მის შვილებს თავიანთი წვლილი შეაქვთ საუკუნის მაგისტრალის მშენებლობაში.

ოჯახის უფროსი ქალიშვილი ლიანა უკვე ექვსი წელია ნია-გრუზინსკაიაში ცხოვრობს. იგი ბამის ნორჩი მოკალაკეების აღზრდას ემსახურება, მისი მეუღლე გურამ აბულიძე კი მშენებელთა ბრიგადაში საქმიანობს და მალე ინეინრის დიპლომსაც მიიღებს.

უმცროსი ქალიშვილი ასმათი გასულ წელს ჩავიდა ნია-გრუზინსკაიაში, სამსახურში მოეწყო და დაუსწრებელი სწავლების სტუდენტიც გახდა.

კარგი სამემკვიდრეო აქვს ივრის ნაპირებზე არჩილ ხვლეურს. ამ კერიის შუქი ხომ ბამზეც აციალდა.

გ. ხაზიაური.
თიანეთის რ-ნი.

კ ლ ი ე რ ი ქ ა რ ი თ ბ ი ლ ი ს ი ი

1 თებერვალს მდინარე მტკვრის ხეობაში ამოვარდნილი ქარი უკვე მესამე დღეა გრძელდება. მისი სიჩქარე თბილისში 3 თებერვალს საათში 90 კილომეტრს აღწევდა. ოდნავ უფრო ნაკლები — წამში 23 მეტრი იყო გორში, ხოლო მუხრანში ისეთი სიჩქარით ქროდა, როგორც რესპუბლიკის დედაქალაქში.

საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემო ბუნების კონტროლის სამმართველოს თბილისის ამინდის ბიუროს სინოპტიკოსები იუწყებიან: მტკვრის ხეობაში ძლიერი ქარი დაიწყო კავკასიონის ატმოსფეროს თბილ ზონაში სსრ კავშირის ევროპული ნაწილის ჩრდილოეთიდან ჰაერის ცივი მასების შემოჭრის შედეგად. ეს ჰაერი საქართველოს ტერიტორიაზე შემოიჭრა შავი ზღვის სანაპიროს მხრიდან.

უახლოეს დღეებში ქარი თანდათან ჩაცხრება.

ეს საინტერესოა

ი ა ლ ბ უ ზ ი მ ძ ი ნ ა რ ე ვ უ ლ კ ა ნ ი ა ?

საქართველოს მეცნიერი გეოფიზიკოსები ვარაუდობენ, რომ იალბუზი ჩამქრალი ვულკანი კი არ არის, არამედ მხოლოდ სძინავს. მაგრამ ვერც ერთი მათგანი ვერ ბედავს იწინასწარმეტყველოს, გაიღვიძებს მრისხანე ბუმბერაზი, თუ სამუდამოდ მშვიდი დარჩება კავკასიონის ეს უმაღლესი და ულამაზესი მწვერვალი, სამთო მთთხილამურეებისა და მთამსვლელების ჩინებულ საწვრთნელ ბაზად რომ ითვლება.

ვულკანს სიცოცხლის ნიშანი შენიშნა დიდად მგრძნობიარე ხელსაწყოებმა — სეისმოგრაფებმა, რომლებიც მეცნიერებმა რამდენიმე წლის წინათ დადგეს კავკასიონის მთავარი ქედის განშტოებებზე. აქ, იალბუზის სამხრეთით, ენგურის ხეობაში, მაშინ ის-ის იყო დაიწყო ამჟამად უკვე მოქმედი, ამიერკავკასიის უდიდესი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა. საჭირო იყო დაეზუსტებინათ ახალშენებლობის ტერიტორიის სეისმურობა.

მოგვიანებით, სხვა აპარატურასთან ერთად, სეისმოგრაფების გამოყენება დაიწყეს მიწისძვრების მონაცემების შესასწავლად. მეცნიერებს მათი წარმოშობის ერთერთ მიზეზად მიაჩნიათ მთის ქანებში დაძაბულობის სიმძიმეთა ძალების გადანაწილება.

მეცნიერებმა გადაწყვიტეს თვალი ადევნონ, თუ როგორ იწყებს სულ უფრო მზარდი სიმძიმის გავლენით ხელოვნური ზღვის წყლები ძაბვის გადანაწილებას მთის ქანებში. ამ ზედმეტ დაძაბულობათა განმუხტვა ჩვეულებრივ იწვევს სუსტი, უსაფრთხო ჰიდროტექნიკური მიწისძვრების სერიას. ხელსაწყოების ლენტებზე მეცნიერებმა შეამჩნიეს სეისმოგრამების გარეშე აფეთქებები. მათი აზრით, ამას იწვევდა იალბუზის სუსტი „სუნთქვა“.

იმის, რომ იალბუზი მძინარე ვულკანია, ადასტურებს მთამსვლელების ცნობებიც: მთის ფერდობებზე ბევრ ადგილას შენიშნულია გოგირდოვანი გაზის ამოფრქვევა, მწვერვალს გარს აკრავს მრავალრიცხოვანი თერმული წყაროები.

კავკასიონზე ათზე მეტი ვულკანია, რომლებიც შედარებით არცთუ ისე შორეულ გეოლოგიურ წარსულში მოქმედებდნენ. მათ განეკუთვნება კავკასიონის მეორე ბუბებერაზიც — მყინვარწვერი. მის მახლობლად გეოლოგებმა აღმოაჩინეს ლავის ნაკადი, რომელიც ოდნავ უფრო პატარა ვულკანიდან ჩამოსულა. იგი მრისხანედ თუხთუხებდა მთაში ქვის საუკუნის დამლეს, როცა ამიერკავკასიაში უკვე ჰყვაოდა მიწათმოქმედება და მეცხოველეობა.

ვულკანებთან დაკავშირებულია მრავალი სასარგებლო წიაღისეული, კერძოდ, მანგანუმის, სპილენძის, ალმადანისა და პოლიმეტალების მადნების წარმოშობა. ვულკანების გენეალოგიის შესწავლა ხელს უწყობს მეცნიერებს გამოავლინონ სპილენძის ნედლეულის ახალი მდიდარი მიწისქვეშა საბადოები.

ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის №- მოტომსროლელი ნაწილის მებრძოლები საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში ახალი წარმატებებით ხვდებიან მშობლიური პარტიის XXVI ყრილობას.

„წვრთნაზე ისევე — როგორც ბრძოლაში!“ ეი ამიერკავკასიელ მეომართა დევიზი. ისინი ცხადყოფენ შესანიშნავ საბრძოლო გაწვრთნილობას ტაქტიკურ მეცადინეობაზე, მოსაზრებულობასა და ურთიერთგატანის ჩვენებს.

ყოველივე ეს დიდი ყოველდღიური აღმზრდელობითი მუშაობის შედეგია, რასაც კომკავშირელებთან აწარმოებს პოდპოლკოვნიკი პეტრე შულიაკი და პოლიტმუშაკი მაიორი ჯაბარ შახბაზოვი. თავიანთ აღსაზრდელებს მამაშვილურად ეჭიციენან მეთაურები. თითოეულისათვის ისინი პოულობენ გულთბილ სიტყვას, ეხმარებიან თვითგანათლებაში.

მოტომსროლელები სკკპ XXVI ყრილობას ღირსეულ შეხვედრას უმზადებენ. მათ გადიდებული სოციალისტური ვალდებულებები იკისრეს — მოამზადონ 95 სპორტსმენი-თანრიგოსანი, 7 პირველი და მეორე კლასის სპეციალისტი, 65 პროცენტი დაეუფლა III კლასის მექანიკოს-მძღოლის სპეციალობას.

სურათებზე: ეისია. პოლიტმუშაკს მაიორ ჯაბარ შახბაზოვს დავალებას აძლევს პოდპოლკოვნიკი პეტრე შულიაკი; ტაქტიკურ მეცადინეობაზე.

გ. კიკავაძის ფოტო,
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

„ბ ა ე მ ბ ზ ა ვ რ ნ ე ნ ...“

5 თებერვალს როსტოვში სტარტს აიღებს სსრ კავშირის ჩემპიონატი კლასიკურ ჭიდაობაში. ჩვენი რესპუბლიკის ნაკრები შეჯიბრებაზე გამოვა შემდეგი შემადგენლობით: მოსკოვის ოლიმპიადის ჩემპიონი ვახტანგ ბლაგიძე (52 კგ წონითი კატეგორია), სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადის ჩემპიონი მიხეილ სალაძე (100), ჩვენი ქვეყნის აბსოლუტური ჩემპიონი შოთა მორჩილაძე (100 კგ-ზე ზევით), მსოფლიო თასის მფლობელი თემურ კაზარაშვილი (48), საერთაშორისო და საკავშირო შეჯიბრებათა პრიზიორები თემურ აფხაზავა და იოსებ ბერიშვილი (ორივე — 82), დავით ლატარია (58), ნიკო შაბიაშვილი (100), ავთანდილ მაისურაძე (100 კგ-ზე ზევით), აგრეთვე რამდენიმე ახალგაზრდა ათლეტი — ასეთი რანგის შეჯიბრების დებიუტანტები.

საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელი არის დავით დავითაია.

საქართველოს საკავშირო სპორტსმენები სარბიელზე

თხილამურები. კარპატებში, დაბა ვოლოვეცის მიდამოებში გაიმართა სოფლის სპორტსმენთა II საკავშირო ზამთრის ასპარეზობა. ჩვენი რესპუბლიკა შეჯიბრებაში „კოლმეურნეთა“ იყო წარმოდგენილი. წარმატებას მიაღწია ბაკურიანელმა **მერი კოზანაშვილმა,** რომელმაც სამთო-სათხილამურო სპორტის სამივე დისციპლინაში (სპეციალური სლალომი, გიგანტური სლალომი, სწრაფფდაშვება) ბრინჯაოს მედლები მოიპოვა. თავი გამოიჩინა ვაჟთა ასპარეზობაში მეორე ბაკურიანელმა **ვლადიმერ სანაკოევმაც.** მან ჯერ პირველი ადგილი დაიკავა სპეციალურ სლალომში, ხოლო შემდეგ მესამე — სწრაფდაშვებაში.

ბაგიდის ჩოგბურთი. ყარაგანდამ უმასპინძლა საკავშირო პირადი ჩემპიონატის დასკვნით ეტაპს. შეჯიბრებაში წარმატებით გამოვიდა ბათუმელი საერთაშორისო ოსტატი **ალეკო ბოლოკაძე.** ბოლო ადგილზე ბრძოლა ორ ბელორუსელ ოსტატს — ალ. ბოგდანოვიჩსა და ალ. ბოგატოვს შორის ერთ-ერთ ყველაზე ინტერესო ბრძოლად ჩაეთვალა. ბოლოს ბოგატოვმა ბოგდანოვიჩი ორ ბანზე ერთ ბანზე ამარცხა. ბოლოს ბოგატოვმა ბოგდანოვიჩი ორ ბანზე ერთ ბანზე ამარცხა.

**ბ ა ს ა ბ ი ს ა ნ ა ბ ა ნ ი ს ა ნ ა ბ ა ნ ი ს ა ნ ა ბ ა ნ